პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ხუთშაბათი, 12 მარტი 1936 წ. № 59 (4518)

# ამიერ-კავკასიის ფედერაციის 14 წელი

> „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ), ლენინისა და სტალინის ნაციონალური პროგრამით შეიარაღებულებმა, დაამარცხეს და გაანადგურეს ნაციონალ-უკლონისტები, აღმართეს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობის ურღვევი შენობა, შექმნეს და განამტკიცეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია".
>
> ლ. ბ ე რ ი ა

## ლენინ-სტალინის დროშით

ამიერ-კავკასია, რომელიც ხიდად გადებულა ევროპა-აზიას შუა — საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა უცხოელ დამპყრობელთა სათარეშო ობიექტს. ვის არ უბატონია აქ? არაბებს თუ მონღოლებს, რომაელებს თუ ოსმალოებს, მეფის რუსეთს თუ მსოფლიო იმპერიალიზმის სხვა სახელმწიფოებს. განუწყვეტლივ ილვრებოდა ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხთა სისხლი. მათ სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ გაბატონებული კლასები და უცხოელი დამპყრობლები.

ისტორიულ ვითარებათა გამო ამიერ-კავკასიის მშრომელებმა თავისი ბედი დაუკავშირეს დიდ რუსის ხალხს. ამხ. სტალინის მეთაურობით მათ შექმნეს ამიერ-კავკასიის სახელოვანი ბოლშევიკური ორგანიზაციები და დიდი რუსეთის პროლეტარებთანა და მშრომელებთან ერთად, ლენინ-სტალინის ხელმძღვანელობით განვლეს სამი რევოლუცია.

ამიერ-კავკასია საბჭოთა კავშირის განუყრელი, ერთი მთლიანი სამეურნეო ერთეულია. აზერბეიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სამეურნეო განვითარება, ამ რესპუბლიკებში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება დამოკიდებული იყო ამ ერთ სამეურნეო-პოლიტიკურ ერთიანობაზე. ამიტომ ლენინ-სტალინის უშუალო მითითებით აღნიშნულ რესპუბლიკათა უფლებამოსილმა ცაკებმა თოთხმეტი წლის წინათ დაამყარეს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერაცია. „ბურჟუაზიის დროს უმაგალითო და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუში" (ლენინი). იგი არის ერთადერთი ფორმა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე უზრუნველჰყოფს მრავალეროვნებიან რესპუბლიკების ნაციონალურ მშვიდობიანობას და ქვეყნის შეუჩერებლივ აყვავებას. იგი გახდა მშრომელებს შორის ნაციონალიზმის მოსპობის პირობად, რომელიც მენშევიკების და დაშნაკების ბატონობის დროს უკიდურესობამდე განვითარდა და რომელმაც სამი რევოლუციის პერიოდში ამიერ-კავკასიის მშრომელთა შორის შექმნილი ძმური ურთიერთობა ძალიან დაასუსტა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ გაფთრებული იერიში მიიტანეს ნაციონალ-უკლონისტებმა, რომელნიც შემდეგ შოვინიზმს წარმოადგენდნენ. მაგრამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ), ლენინისა და სტალინის ნაციონალური პროგრამით შეიარაღებულებმა, დაამარცხეს და გაანადგურეს ნაციონალ-უკლონისტები, აღმართეს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობის ურღვევი შენობა, შექმნეს და განამტკიცეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია"... (ბერია).

ელექტროფიკაცია და მელიორაცია, აჰა ის ამოცანა, რომელიც ლენინმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, რუსეთზე უფრო გლეხურ ქვეყნებს, დაუსახა. ლენინის ამ მითითებათა განხორციელების და სტალინური ინდუსტრიალიზაციის გატარების საფუძველზე შეიცვალა ამიერ-კავკასიის სახე. შეიქმნა მრეწველობის ახალი კერები: ბაქოს და ბათომის კრეკინგ-ქარხნები, ფერომარგანეცის წარმოება ზესტაფონში, ტყვარჩელის ქვანახშირის წარმოება აფხაზეთში, კარბიდის და პემზის წარმოება სომხეთში, მძლავრი საქსოვი ქარხნები კიროვაბადსა და ლენინაკანში, გემოკვების მრეწველობის გიგანტები. შეიქმნა და განვითარდა ელექტრომრეწველობა: ზაჰესი, რიონჰესი, ძორაჰესი. შენდება ერევანში სინთეტიკური კაუჩუკის კომბინატი, რომლის მსგავსიც მსოფლიოში არ იქნება. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ქანაქირჰესი, აწჰესი და სხვა მძლავრი წარმოებანი.

სოციალისტურად გარდაიქმნა სოფლის მეურნეობა. გლეხური მეურნეობების 73 პროცენტზე მეტი კოლექტივიზებულია. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები დაიფარა საბჭოთა მეურნეობებისა და მტს მძლავრი ქსელით. სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა არაჩვეულებრივად გაიზარდა. და ამ პირობებში უდიდესი ტემპებით ვითარდება ბამბის კულტურა, ჩაი, ციტრუსები, მეცხოველეობის აღმავლობის სახელმწიფო გეგმები წარმატებით სრულდება.

ამრიგად ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგად ამიერ-კავკასია იქცა მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულ ინდუსტრიულ აგრარულ ქვეყნად. მოისპო უმუშევრობა, სიღატაკე, ხვალინდელი დღის უიმედობა და შეიქმნა საამური ცხოვრება.

ამიერ-კავკასიის, საბჭოთა კავშირის ამ მარგალიტის მიღწევები განსაკუთრებით შესამჩნევია ამ უკანასკნელ წლებში. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მებრძოლი ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას მეთაურობით უზრუნველყოფილი იქნა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ოქტომბრის დადგენილების და პირადად ამხ. სტალინის მითითებათა განხორციელება. სამუდამოდ დაძლეულია უხეში პოლიტიკური შეცდომები გლეხობის საკითხში, რომელთა გამოყენებასაც ცდილობდნენ ანტისაბჭოთა ელემენტები.

ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით, თვალსაჩინო მიღწევებისათვის სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგსა და სახელმწიფო გეგმების შესრულებაში, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები და მათი ხელმძღვანელები დაჯილდოებული არიან უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. ამიერ-კავკასიის ფედერაცია მტკიცედ ჩადგა მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის ფონზე ვითარდება ფორმით ნაციონალური, შინაარსით პროლეტარული კულტურა. ამიერ-კავკასია, ცარიზმის ეს ყოფილი კოლონია, ჩამორჩენილი მხარე, სადაც წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი არ აღემატებოდა 14 პროც. უკვე იქცა წერა-კითხვის მცოდნე ქვეყნად. აქ 8 წლიდან 50 წლამდე წერა-კითხვის მცოდნეა 87 პროც., ხოლო 1936 წელს მოხდება წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია.

ცარიზმის დროს ამიერ-კავკასიაში იყო მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი 314 სტუდენტით. ახლა არის 49 უმაღლესი სასწავლებელი 42900 სტუდენტით. დაწყებითსა და საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი 1914 წელს იყო 259 ათასი, 1919 წელს — 241 ათასი, 1935 წელს კი — 1.442 ათასი. ცარიზმთან შედარებით მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკების ბატონობის ხანაში მოსწავლეთა რიცხვმა მნიშვნელოვნად იკლო. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ეს რიცხვი ერთიხუთად და უფრო მეტად გაიზარდა.

ამიერ-კავკასიაში მძლავრი ტემპებით ვითარდება მეცნიერება, ხელოვნება და, რაც მთავარია, უჩვეულოდ იზრდებიან ადგილობრივ ეროვნებათა ახალი კადრები, ახალი ადამიანები, სოციალისტურ საზოგადოების მშენებლობის სტახანოველები.

1936 სტახანოვურ წელს ახალი გრანდიოზული ამოცანები სდგას ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელების წინაშე. ამ წელს მშენებლობის გეგმა მილიარდ ნახევარ მანეთს შეადგენს და მისი ათვისებისათვის უნდა შევქმნათ საამშენებლო ინდუსტრია, გარდავქმნათ საპროექტო მუშაობის ორგანიზაცია, გავაიაფოთ საშენი მასალის წარმოება და აუცილებლად შევასრულოთ მშენებლობის გეგმები.

უნდა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, გადაჭარბებით და ვადაზე შევასრულოთ მარგანეცის, ნავთის საწარმოო გეგმები. აგროღონისძიებათა ზუსტი გატარებით გავზარდოთ სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა. განსაკუთრებით ბამბის, ჩაის, მარცვლეული კულტურების ხაზით. ამისათვის კი უნდა გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, უფრო ფართოდ დავნერგოთ სტახანოვური მეთოდები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და უზრუნველვყოთ ახალი გამარჯვებანი.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია მანათობელი ვარსკვლავია აღმოსავლეთის მშრომელებისა და დასავლეთის პროლეტარებისათვის. იგი მათ უჩვენებს, თუ როგორ შეიძლება იმპერიალისტური ჩოხობის მოსპობა და ეროვნებათა შორის ძმური ურთიერთობის შექმნა. ამიტომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის 14 წლისთავს სიამაყით აღნიშნავენ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, კოლმეურნე მშრომელები და საბჭოთა ინტელიგენცია.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო გააძლიერებენ სოციალიზმის მშენებლობას, განამტკიცებენ პროლეტარიატის დიქტატურას, რომელმაც უზრუნველჰყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება, მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების ძირფესვიანი გაუმჯობესება და საამური ცხოვრება, ერთა შორის მშვიდობიანობა.

ლენინ-სტალინის დროშით ამიერ-კავკასიის მშრომელებმა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მშრომელ ხალხთან ერთად მიაღწიეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას. ლენინ-სტალინის დროშით ისინი კიდევ უფრო განამტკიცებენ ამიერ-კავკასიის ფედერაციას და უზრუნველყოფენ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებას.

## ორდენოსან კ. ჩოხელის პატაკი
### ამხანაგ ლავრენტი ბ ე რ ი ა ს

**ზემოქედი**, 8 მარტი. (ტელეგრაფით). დასადოლებლად ჩავაყენე 4.860 დედაცხვარი. ამათში უკვე დადოლდა 2.314 ცხვარი. მოგებულია 2335 ბატკანი. ნამატის მიღების გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. დოლი მიმდინარეობს.

დღემდე შენარჩუნებული ნამატის მიხედვით თქვენთვის მიცემულ პირობას წარმატებით ვასრულებთ.

**კობა ჩოხელი**
ზემოქედის კოლმეურნეობის ფერმის გამგე.

## სიმაგრეების აგება გერმანიის დასავლეთის საზღვარზე

### ჰავასის სააგენტოს ცნობა

**პარიზი**, 10 მარტი. ჰავასის სააგენტო იტყობინება:

„სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ განიხილა ლე ტროკერის მოხსენება დეპუტატთა პალატის მიერ მიღებულ იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაციას ითვალისწინებს. მოხსენება წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ისტორიულ მიმოხილვას, იურიდიულ ანალიზს და პოლიტიკური ხასიათის დასკვნებს. კომისიის თავმჯდომარემ ანრი ბერანჟემ მთელი კომისიის სახელით მადლობა გადაუხადა ლე ტროკერს მოხსენების გაკეთებისათვის. კომისიის ზოგიერთმა წევრმა, სახელდობრ — მილიერანმა, ვენდელმა, დელფიუსმა, ბენარმა, ტუმირმა (რომლებიც წინათ ხელშეკრულების წინააღმდეგნი იყვნენ), განაცხადეს, რომ ახლა მათ გადასწყვიტეს ხმა მისცენ ხელშეკრულების რატიფიკაციას გერმანიის იმ პროვოკაციის პასუხად, რომელმაც თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ლოკარნოს ხელშეკრულების დარღვევაში. ამ განცხადებებს დამსწრენი ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ. ლე ტროკერის მოხსენება სენატის კომისიამ თითქმის ერთხმად მიიღო. კომისიის თავმჯდომარეს დაევალა მეიტანოს წინადადება, რათა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი დაისვას სენატში 12 მარტს. სენატორები არმბრიუსტერი, ლემერი, დებლუა, ანრი ჰე და კაშენი ჩაიწერნენ კამათში გამოსასვლელად, მაგრამ შესაძლებელია, ზოგიერთმა მათგანმა უარი სთქვას გამოსვლაზე. გერმანიის მოქმედებით შექმნილი დიპლომატიური მდგომარეობის გამო, დისკუსია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხზე არ იქნება ისე ხანგრძლივი, როგორც ამას წინათ ფიქრობდნენ. ეჭვი არ უნდა შევეპაროს იმაში, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნება სენატში ხმათა დიდი უმრავლესობით" (ადს).

◇

### ლოკარნოს ხელის-მომწერ სახელმწიფოთა ახალი თათბირი

**პარიზი**, 10 მარტი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ დღეს საღამოს გაიმართა ლოკარნოს ხელშეკრულების ხელისმომწერ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ახალი თათბირი. კომუნიკეში, რომელიც გადაეცა პრესას, ნათქვამია, რომ საერთო შეთანხმების მიხედვით საუბარი გაგრძელდება ლონდონში ხუთშაბათს 12 მარტსო.

ინგლისის მთავრობამ ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვა ლონდონში მოიწვიოს ერთა ლიგის საბჭოს სხდომა, რომელიც მოხდება დაუყოვნებლივ ლოკარნოს ხელშეკრულების ხელისმომწერ სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირის შემდეგ.

„13-თა კომიტეტის" სხდომა, რომელიც თერთმეტ მარტს უნდა მომხდარიყო ჟენევაში, ამრიგად, მომავალ კვირამდე გადაიდო. (ადს).

### დასავლეთის საზღვარზე

**ბერლინი**, 9 მარტი. („პრავდის" საკუთარი კორესპონდენტისაგან) გაზეთების უკანასკნელი ცნობებით, გუშინ საღამოს დამთავრდა ჯარების გაშლაგება რეინის ზონაში ოპერაციათა დასახული გეგმის თანახმად. როგორც გაზეთები ამტკიცებენ, ამჟამად რეინის ზონაში იმყოფება მოტორიზებული ქვეითი ჯარის 19 ათასეული, 13 საარტილერიო დივიზიონი, 2 ავიოლეგიონი და რამდენიმე საზენიტო ბატარეა. როგორც გადმოგვცემენ, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ გერმანიის მთელ დასავლეთ საზღვარზე სწრაფად აავონ ბეტონის სიმაგრეები. მუშაობა უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს.

ჩამოსული ჯარების დიდი ნაწილი დაბინავებულია ქალაქებში რეინის გასწვრივ და რეინის ველში, შვარცვალდსა და რეინს შუა. ავიოესკადრები დაბანაკებული არიან სტრატეგიულ პუნქტებში — კელნში, დიუსელდორფში, მაინის ფრანკფურტს და მანჰეიმში (ადს).

○

### იტალია-აბისინიის ომი

**ადის-აბება**, 10 მარტი. დღის ორივე ფრონტიდან მიღებული ცნობების თანახმად, სამხედრო მოქმედება კვლავ გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ 10 მარტს მოსალოდნელი იყო დროებითი ზავი. აქ ფიქრობენ, რომ იტალიელები სამხედრო ოპერაციებს არ შეაჩერებენ. იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც ეს-ეს არის მიიღეს, ამბა-ალაგის მთაგრეხილის სამხრეთ ფერდობზე (მაკალედან სამხრეთით 64 კილომეტრის დაშორებით, დესიეკენ მიმავალ გზაზე) გაფთრებული ბრძოლა სწარმოებს, ბრძოლა ხელჩართულია. ამ რაიონში ყოველდღე მოდის ძლიერი წვიმა, რაც შეუძლებელს ხდის სამხედრო მასალის გადაზიდვას. იტალიის არმიის დეზერტირებმა, რომელნიც გუშინ მთავარ ბინაში მოვიდნენ, მოიტანეს ამბავი, რომ მაკალე-ამბა-ალაგის მთელი გზის გასწვრივ ტალახში ეფლობიან სატვირთო ავტომობილები, რომელნიც დატვირთული არიან სამხედრო საჭურველითა და მასალით. რამდენიმე ტრაქტორი, რომლებიც დასახმარებლად გაჰგზავნეს, ჩაეფლო ტალახში. წვიმების გამო ორივე მხარის ჯარებში სხვადასხვა სენი მძვინვარებს. განსაკუთრებით ფილტვების ანთება.

დღეს სატახტო ქალაქში სულისკვეთება გაცილებით უფრო მშვიდია. მაღაზიები ღიაა, მაგრამ ცალკეული მცხოვრებლები წინანდებურად სტოვებენ ქალაქს. მათ ეშინიათ იტალიელ მებომბარდირეთა თავდასხმისა. „კურიერ დ-ეთიოპი" (ფრანგული, ადგილობრივი ყოველკვირეული ორგანო) ფიქრობს, რომ გერმანიის მიერ ხელშეკრულებათა დარღვევის გამო, იტალია-აბისინიის კონფლიქტი უკანა რიგში დგება (ადს).

○

### კავასიმა „განკარგულების მომლოდინეთა" სიაში

**ტოკიო**, 10 მარტი. დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობით ყოფილი სამხედრო მინისტრი კავასიმა (ოკადას კაბინეტში) დღეს გადარიცხეს „განკარგულების მომლოდინეთა" სიაში. უახლოეს ხანში კავასიმას რეზერვში ჩარიცხავენ. (ადს).

### ინგლისის პოზიციის გაურკვევლობა

**პარიზი**, 11 მარტი. პარიზის მოლაპარაკების შედეგად ერთგვარი ცვლილებები მოხდა ინგლისის პოზიციაში. დღეს დილას იდენი გაემგზავრა ლონდონს, რათა ინფორმაცია გაუკეთოს ინგლისის მთავრობას პარიზის მოლაპარაკების შესახებ და გამოსთხოვოს ინსტრუქცია იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელიც მოლაპარაკების დროს გამოირკვა. ინგლისის წრეებში აღნიშნავენ იმ მდგომარეობის განსაკუთრებით სერიოზულ ხასიათს, რომელიც შეიქმნა გერმანიის მიერ ლოკარნოს პაქტის ცალმხრივი დარღვევით და ხაზს უსვამენ, რომ ინგლისს ჯერ არ დაუკავებია განსაზღვრული პოზიცია ამ საკითხში. მაგრამ ამასთან აღნიშნავენ, რომ სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს ის ცნობები, თითქოს ინგლისის მთავრობას დაეჭიროს უკვე რაიმე ისეთი პოზიცია, რომელიც არ ეთანხმებოდეს საფრანგეთის პოზიციას ამ საკითხში. ინგლისის წრეებში ენერგიულად ხაზს უსვამენ, რომ ინგლისი მკაცრად გმობს გერმანიის მოქმედებას ლოკარნოს პაქტისა და რეინის დემილიტარიზებული ზონის მიმართ. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ გერმანიამ ამ მოქმედებას მიმართა ისე, რომ არც უკითხავს და არც უცნობებია ლოკარნოს დანარჩენი მონაწილეებისათვის. ინგლისის ოფიციალური წრეები აღნიშნავენ, რომ გერმანიის მიერ ლოკარნოს დასარღვევად მოყვანილი საბაბი — საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის პაქტის დადება — მოკლებულია ყოველ საფუძველს. ამ პირობებში ინგლისის წრეები ფიქრობენ, რომ მოლაპარაკება გერმანიასთან დადებით შედეგებს არ გამოიღებს. ინგლისის წრეები აღნიშნავენ, რომ ბელგიის პრემიერ ვან-ზეელანდს ჰქონდა საუბარი იდენთან. საუბარში ვან-ზეელანდმა ხაზი გაუსვა, ლოკარნოს პაქტის მონაწილე ბელგიას არ დაუდვია საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. მაგრამ, აღნიშნა შემდეგ ვან-ზეელანდმა, გერმანიის მოქმედება სერიოზულად ეხება ბელგიის უშიშროებას. სავსებით აშკარაა, რომ ჰიტლერს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტი მოემიზეზებინა ლოკარნოს ხელშეკრულების დასარღვევად. ამ ცნობებს ოფიციოზური ხასიათი აქვს. იტყობინებიან, რომ ლოკარნოს მონაწილეთა თათბირი მოწვეული იქნება 12 მარტს ლონდონში. აქვე ლონდონში უნდათ მოიწვიონ ერთა ლიგის საბჭო 14 მარტს (ადს).

◇

### ბეკის მისია ბელგიაში

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ოფიციოზი „პრაგერ პრესე" ათავსებს თავისი ბერლინელი კორესპონდენტის შემდეგი შინაარსის დეპეშას:

„ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ევროპის ქვეყნებში იხატება მოძრაობა კოლექტიური უშიშროების სისტემის წინააღმდეგ. ამასთანავე აღნიშნავენ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბეკის დარბაზობას ბრიუსელში და იტალიის, ავსტრიის და უნგრეთის მომავალ კონფერენციას რომში. ბეკის მოლაპარაკებას ბელგიის პრემიერ მინისტრ ვან ზეელანდთან ბევრად უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბერლინში, რომ ვარშავაში ანალოგია გაჰყავთ პოლონეთისა და ბელგიის დამოკიდებულებას შორის გერმანიასთან. ეს გარემოება ბერლინში ჰქმნის იმედს, რომ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დამყარდება ბელგიასთან, რისკენაც აქ უკვე დიდი ხანია მიისწრაფიან. ამასთანავე იხსენებენ ბრიუსელში რიბენტროპის გამგზავრებას, რომლის მნიშვნელობაც შესუსტებულ იქნა ეიპენ მალმედიში ირედენტისტული გამოსვლებით. თუ ბერლინელ გაზეთების მიხედვით ვიმსჯელებთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ბეკი ბრიუსელში გამოდიოდა არა მარტო პოლონეთ-ბელგიის, არამედ ბელგია-გერმანიის დაახლოების მოციქულადაც, რისთვისაც მან გამოიყენა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტი. ბერლინის გაზეთები განზრახ ხაზგასმით აღნიშნავენ უფრო ძველ ვალდებულებებს, რომელნიც საფრანგეთს პოლონეთთან და ბელგიასთან აკავშირებენ და უპირისპირებენ მათ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტს. ამ საკითხში ისინი პოლონეთის ოფიციოზ „გაზეტა პოლსკას" მიმართავენ. ამ თემაში შეთანხმებულობა აშკარაა. მასში მუდამ ხაზგასმით არის აღნიშნული ის, ვითომდა საშიშროებანი, რომლებიც მოაქვთ თან საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტს და მშვიდობიანობის კოლექტიური უშიშროების პოლიტიკას საერთოდ არა მარტო გერმანიისათვის, არამედ სხვა ქვეყნებისათვისაც, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებისთვის („იზვესტია").

## სტახანოველთა საუკეთესო კულტურული მომსახურებისათვის

საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან მშრომელ მასებში—მუშებსა და კოლმეურნეებში ძლევამოსილად გაჩაღდა შრომის მაღალი, ისტორიაში ჯერ არნახული ნაყოფიერებისათვის ბრძოლა. ამ დიდი მოძრაობის დაწყების თარიღია დონბასელი მუშის ალექსი სტახანოვის მიერ სარეკორდო გამომუშავების დღე, გმირული შრომის პირველი ნიმუშის მიცემის დღე.

ამ სახალხო მოძრაობის ერთერთ გამომწვევ მიზეზად ამხანაგი სტალინი მუშათა კლასის კულტურული დონის გაზრდას ასახელებს. „საქმე მუშის ძალღონის გადამეტებული დაჭიმვა კი არ არის,—ამბობს ამხანაგი მოლოტოვი,—არამედ საკუთარი შრომისადმი კულტურული დამოკიდებულება, მთავარია „მანქანის ნამდვილი ცოდნა".

მაგრამ თუ მუშათა კლასის კულტურული ზრდა სტახანოვური მოძრაობის ერთერთი მიზეზთაგანია, თვით სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაძლიერებისა და აღმავლობის ამოცანა უაღრესად დიდ მოთხოვნებს უყენებს ჩვენს კულტურულ ფრონტს. და ამიტომ კულტურის დაწესებულებებმა საფუძვლიანად უნდა გარდაჰქმნან თავისი მუშაობა, ისინი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ სტახანოვურ მოძრაობაში ჩაბმულ მუშებსა და კოლმეურნე გლეხებს, ჩასწვდნენ მათ სულსა და გულს, ენერგიულად დაეხმარონ ტექნიკის და მაღალი საბჭოთა კულტურის დაუფლების საქმეში.

კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა იქითკენ უნდა წარიმართოს, რომ შედარებით მოკლე დროში „მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის საინჟინრო-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე აყვანის ბაზაზე" მივაღწიოთ „გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსპობას" (სტალინი).

მაღალი სტახანოვური ხელფასი უაღრესად მტკიცე ნიადაგს უქმნის მუშათა და კოლმეურნეთა კულტურული დონის ჩქარ ზრდას. ამიტომ საჭიროა კულტურული მომსახურების საქმის სათანადო დონეზე აყვანა, მისი სტახანოვურად გარდაქმნა.

დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება მასალა, რომლიდანაც ნათლად სჩანს, თუ რა ხარბად ეწაფებიან სტახანოველები კომუნისტურ განათლებას, იძენენ წიგნებს, სამუსიკო ინსტრუმენტებს და სხვ. ეხმარებიან შვილებს, რომ ისინი სწავლაში ფრიადოსნები გახდნენ.

მაგრამ აქვე სჩანს, ჯერ კიდევ რამდენი ნაკლი გვაქვს მუშათა და კოლმეურნეთა კულტურული მომსახურების საქმეში, კიდევ რამდენი საბრძოლო ამოცანა დგას ჩვენს წინაშე.

ამ ნაკლოვანებებზე მეტყველებენ ტყიბულის ქვანახშირის წარმოების მუშათა კულტმომსახურების შესახებ დღეს გამოქვეყნებული მასალები. აგრეთვე მოწმობს ის, რომ ტფილისის 26 კომუნარის ქარხნის პროფორგანიზაციამ კულტურული მუშაობა მუშათა საერთო საცხოვრებელ ბინებში კომენდანტს მიანდო და თავი აარიდა კულტმუშაობის უშუალო ხელმძღვანელობას. რაც შეეხება მუშათა შორის წერა-კითხვის მცირემცოდნეობის ლიკვიდაციას, ამაზე ჯერ კიდევ არ შეუწუხებია თავი. კოლმეურნეობების—„წინსვლას" და „ოქტომბერის" (ქუთაისის რაიონი) ბიბლიოთეკები იშვიათად იღებენ ახალ ლიტერატურას. ამას წინათ საქ. ცაკის სესიაზე, ამხანაგი მოლოტოვი, სამართლიანად აღნიშნავდა რომ „ბიბლიოთეკების დროიანად შევსებაზე ახალი ადგილობრივი მუშაკებისათვის საჭირო ლიტერატურით ნაკლებ თუ ვინმე ზრუნავსო", ამავე დროს კი „არ შეიძლება იყოს იმაზე უფრო ელემენტარული მოთხოვნა, ვიდრე კარგი ბიბლიოთეკის მოწყობაო".

ზოგი წარმოების პროფორგანიზაციებმა მუშათა კულტურული მომსახურების საქმე ჯეროვან სიმაღლემდე აიყვანეს. ამ მხრივ საყურადღებოა ამხანაგი სტალინის სახელობის ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის ქარხკომის მუშაობა, მან, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, შესძლო მუშათა კულტურული ზრდისათვის სათანადო პირობების შექმნა.

დღეს გამოქვეყნებული მასალა ზოგ მიღწევებთან ერთად ამჟღავნებს კულტმუშაობაზე სუსტ ხელმძღვანელობას ცენტრალური დაწესებულებების მხრივ. ასეთ სუსტ ხელმძღვანელობას უწევს კერძოდ ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროების მუშათა პროფორგანიზაციებს სტახანოველთა კულტმომსახურების საქმეში სამთო წარმოების მუშათა ცენტრალური კომიტეტი.

რაიონის განათლების განყოფილებებს უნდა გაეძლიერებინათ მუშაობა კოლმეურნეთა კულტმომსახურების მხრივ სტახანოვური მოძრაობის გაძლიერებასთან შეფარდებით, მაგრამ ჯერ მათი ხელმძღვანელობა ამ საქმეზე ისევ სუსტია. ეს სჩანს კოლმეურნეობა „წინსვლასა" და „ოქტომბრის" მაგალითებზედაც.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ კულტურული კერების, დაწესებულებების მუშაობის ისე გარდაქმნას, რომ მათ უდიდესი დახმარება გაუწიონ მშრომელებს იმაში, რომ გახდნენ სტახანოველები, გახდნენ ყოველმხრივ განვითარებული საბჭოთა ადამიანები.

ულმობლად აღმოვფხვრათ უდარდელობა და გულგრილი დამოკიდებულება მუშათა კულტურული მოთხოვნილებებისადმი, შევქმნათ საუკეთესო პირობები სტახანოველების კულტურული განვითარებისათვის, ღირსეული საბჭოთა ადამიანების გამოზრდისათვის.

## მ ი ს ა ლ მ ე ბ ა ნ ი

### საქართველოს ცაკისაგან

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს—ამხ. მარტიკიანს

ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს— ამხ. მუსაბეკოვს

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანს—ამხ. ლ. ბერიას

სრულიად-საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიესალმება ამიერ-კავკასიის მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელს ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის 14 წლისთავზე.

ამიერ-კავკასიის მუშები და მშრომელი გლეხები ყოველთვის რევოლუციის მოწინავე პოსტებზე იყვნენ და ცარიზმის წლებში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძოდნენ მეფის ჯალათების, ფეოდალების, მემამულეების, ბეგების, თავადებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ეროვნული შუღლი, რომელსაც აღვივებდნენ მეფის მოხელენი, მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატისტები და სხვ. ისე როგორც ძმათა-მკვლელი ომები, შესწყდა მხოლოდ მაშინ როცა ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ამიერ-კავკასიის ხალხებმა ძმურ ოჯახად გაერთიანების გზით, ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის გზით შესძლეს შესდგომოდნენ სოციალისტურ მშენებლობას.

პარტიის გენერალური ხაზისათვის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისათვის შეურიგებელი, გაფთრებული ბრძოლით, ლენინ-სტალინის პარტიის, ხალხთა დიდი ბელადის ამხ. სტალინის და მისი ნაცადი მოწაფის ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით, ამიერ-კავკასიის ფედერაციამ 14 წლის განმავლობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა და ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავების საქმეში.

სრულიად-საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელნი, ძმურად, მჭიდროდ დარაზმულნი ამიერ-კავკასიის ფედერაციის მთავრობისა და საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ირგვლივ, საუკეთესო სტალინელის ამხ. ლ. ბერიას მეთაურობით, მომავალშიც მოიპოვებენ ახალ-ახალ გამარჯვებებს სამეურნეო და კულტურულ ფრონტებზე.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ კავშირს—ამიერ-კავკასიის ფედერაციას, ლენინ-სტალინის პარტიის ნაციონალურ პოლიტიკის ზეიმს!

გაუმარჯოს ბოლშევიკთა კომუნისტურ პარტიას და მის ბელადს ჩვენს ძვირფას დიდ სტალინს!

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს და სტალინის ნაცად მოწაფეს, საუკეთესო სტალინელს ამხ. ლ. ბერიას!

**სრულიად-საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:**
**ფ. მახარაძე.**

**სრულიად-საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:**
**თ. ჟღენტი.**

### საქართველოს სახკომსაბჭოსაგან

ა. კ. ს. ფ. ს. რ-ის ცაკის თავმჯდომარეს— ამხ. მარტიკიანს

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს—ამხ. მუსაბეკოვს

საქ. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანს—ამხ. ლ. ბერიას

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ მიესალმება საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს, ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების 14 წლისთავზე, რომელმაც ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკები — აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო გააერთიანა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციად.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და ბელადის, დიდი სტალინის პირადი მითითებებით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მებრძოლ შტაბს საუკეთესო სტალინელის ამხ. ლავრენტი ბერიას მეთაურობით მიჰყავს ამიერ-კავკასიის მშრომელები გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ. შექმნილია მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, რეკონსტრუირებული და მექანიზებულია წინად ჩამორჩენილი სასოფლო მეურნეობა. კოლმეურნეობანი მტკიცედ მიდიან შეძლებული ცხოვრებისაკენ. სტახანოვური მოძრაობა მოედო ჭაბურღილებს, კოშკურებს, ფაბრიკებს, ქარხნებს, საკოლმეურნეო მინდვრებს. ამიერ-კავკასიამ ძირფესვიანად შეიცვალა თავისი სახე; იგი გადაიქცა დიდი საბჭოთა კავშირის ერთერთ ყველაზე აყვავებულ რესპუბლიკად.

ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკამ განვლილ 14 წელში დიად გამარჯვებებს მიაღწია ამიერ-კავკასიის იმ ქვეყნების კულტურულ-ეკონომიურ აყვავების საქმეში, რომელთა მშრომელნი ახლო წარსულში დამონებული იყვნენ მეფის ჯალათების და მუშათა კლასის გამცემლების—მენშევიკების, მუსავატისტებისა და დაშნაკების მიერ.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელნი, როგორც ერთიანი ოჯახი, მთელი საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკათა მშრომელებთან ერთად, კიდევ უფრო დიად და გადამწყვეტ გამარჯვებებს მიაღწევენ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის, მებრძოლი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და საუკეთესო სტალინელის ამხ. ლავრენტი ბერიას მეთაურობით

გაუმარჯოს დიადი ოქტომბრის პირმშოს—ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას და მის ბელადს დიდ სტალინს!

გაუმარჯოს დიდი სტალინის თანამებრძოლს, საუკეთესო სტალინელს ამხ. ლ. ბერიას!

**საქ. ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე**
**გ. მგალობლიშვილი**

◇ ◇ ◇

## აჭარა ემზადება 15 წლისთავის ზეიმისათვის

(ბათომი, 11 მარტი. ტელეფონით კომუნისტის სპეც. ბრიგადისაგან).

აჭარის ყველა რაიონში, სოფლებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და ბათომის საწარმოებსა და დაწესებულებებში გაშლილია გაცხოველებული მზადება აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების 15 წლისთავის აღსანიშნავად.

სტახანოვური დეკადის გამოცხადებით დაიწყო სამზადისი აჭარის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის პირველმა საბჭოთა მეურნეობამ. ამ მეურნეობის სტახანოველები არაჩვეულებრივი ენტუზიაზმით ეზიდებიან მინერალურ სასუქს ნიადაგის გასანოყიერებლად, სხლავენ ჩაის ბუჩქებს, რათა მომზადებულნი შეხვდნენ სტახანოვურ გაზაფხულს და პირნათლად შეასრულონ პარტიისა და ხელისუფლების წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი.

სტახანოვური დეკადები დაიწყო აგრეთვე აჭარის დანარჩენ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

სოფ. მხოში და კირნატში იხსნება ახალი სასკოლო შენობები. ექსპლოატაციაში შედის სარფის საავადმყოფო. კახაბერში იხსნება ახალი ქოხ-სამკითხველო. ბათომში ეწყობა მხატვართა გამოფენა რევოლუციური წარსულიდან, სადაც აგრეთვე სურათებში წარმოდგენილი იქნება სუბტროპიკული პლანტაციები, სტახანოველთა პორტრეტები, აჭარის ყოფაცხოვრება, საბჭოთა აჭარა კულტურულ ფრონტზე და სხვ.

15 წლისთავისათვის სახელგამი უშვებს სპეციალურ წიგნს, რომელშიაც გაშუქებული იქნება საბჭოთა აჭარის მიღწევები 15 წლის მანძილზე.

18 მარტს ბათომში საზეიმოდ გაიხსნება ლენინის სახელობის სკოლის სასპორტო მოედანი და მანქანათმშენებლობის ქარხანა.

# ა.-კ. ფედერაციის დღე

### (ისტორიული ცნობა)

1922 წლის 12 მარტს აზერბეიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელთა ნებისყოფით შეიქმნა ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

ჯერ კიდევ ცარიზმის დროს, როცა ამიერ-კავკასია ერთერთ ყველაზე მეტად ჩაგრულ ნაციონალურ განაპირა კუთხეს წარმოადგენდა, ბაქოს პროლეტარები და მთელი ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ეროვნების მუშები ამხანაგ სტალინის მიერ შექმნილი და მისი ხელმძღვანელობით მოქმედი ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ერთიანი ფრონტით იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

თავის მოხსენებაში „კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში" ტფილისის პარტორგანიზაციის კრებაზე 1921 წლის 6 ივლისს ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„მახსოვს 1905—1917 წლები, როცა ამიერ-კავკასიის ეროვნებების მუშათა და საერთოდ მშრომელთა შორის სრული ძმური სოლიდარობა იყო, როცა ძმობის ძაფები სომეხ, ქართველ, აზერბეიჯანელ და რუს მუშებს ერთ სოციალისტურ ოჯახად აკავშირებდნენ".

მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატისტების—საერთაშორისო კაპიტალის ამ საზიზღარი დაქირავებული აგენტებისა და ლაქიების პარპაშმა, რომელნიც ეროვნებათა შორის შუღლს აღვივებდნენ, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა ინტერვენტებით აავსეს,—მათმა პარპაშმა უმდიდრესი მხარე სრულ გაჩანაგებამდე მიიყვანა. სიღატაკე, სისხლისღვრა, ძმათამკვლელი ომი, გაჩანაგება, მატერიალური და სულიერი კულტურის დაცემა—აი რა მოიტანა მუსავატისტების, მენშევიკებისა და დაშნაკების ბატონობამ. ამიერ-კავკასიას ნაწილ-ნაწილად გლეჯდნენ, მთელ სოფლებს აპარტახებდნენ, მშრომელთა მძიმე სული ეხუთებოდათ ეროვნებათაშორისო ომების ატმოსფეროში. მუშათა შეგნება მოწამლული ხდებოდა ნაციონალ-შოვინიზმის შხამით.

საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო ძმათამკვლელ ხოცვა-ჟლეტას ამიერ-კავკასიის ეროვნებათა შორის.

1920 წლის აპრილში აზერბეიჯანის მშრომელებმა მოძმე წითელი არმიის შემწეობით გადააგდეს მუსავატისტების უღელი. აზერბეიჯანის შემდეგ კვალდაკვალ აღდგა სომხეთი, შემდეგ საქართველო, და 1921 წელს მთელი ძალაუფლება მთელს ამიერ-კავკასიაში მშრომელთა ხელში იყო. მთელს ამიერ-კავკასიაში პროლეტარიატის დიქტატურა დამყარდა.

სამივე რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ და მენშევიკების, მუსავატისტების და დაშნაკების კონტრრევოლუციურ მთავრობათა მიერ გაჩანაგებული რესპუბლიკების სამეურნეო აღორძინებისათვის ძალღონის გაერთიანების აუცილებლობამ დააყენეს ამიერ-კავკასიის ხალხთა მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობისა და მჭიდრო ძმური თანამშრომლობის შექმნის საკითხი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის სულისჩამდგმელების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით 1921 წ. ნოემბერში რ.კ.პ. (ბ) ც. კ-ის კავკასიის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ა.-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნის შესახებ. კავბიუროს გადაწყვეტილებას აღფრთოვანებით შეხვდნენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ქალაქების და სოფლების მშრომელნი.

მეორე მხრივ, ამიერ-კავკასიის ა.-კ. ფედერაციის შექმნის იდეა... „წააწყდა გააფთრებულ წინააღმდეგობას ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ელემენტების, შოვინისტური ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და განადგურებული ანტისაბჭოთა პარტიების—მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატისტთა ნამსხვრევების მხრივ. ნაციონალ-უკლონისტურმა ოპოზიციამ, რომელიც ამ ნაციონალ-შოვინისტურ განწყობილებას ასახავდა, გააფთრებული იერიში მიიტანა ამიერ-კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ..." (ლ. ბერია).

ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა ამხ. ორჯონიკიძის, კიროვისა და მიასნიკოვის მეთაურობით გაანადგურეს ნაციონალ-უკლონიზმი.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების თათბირი, რომელიც მოწვეულ იქნა 1921 წლის დეკემბერში, ღებულობს რეზოლუციას ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ, ხოლო 1922 წლის დამდეგს ტფილისში მოწვეული მე-2 პარტიული კონფერენცია ღებულობს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანიზაციის პროექტს, საკავშირო საბჭოსი და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დებულების პროექტს. საბჭოების რესპუბლიკური ყრილობები, რომლებიც ამავე დროს იკრიბებიან, ღებულობენ გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნის შესახებ. 1922 წლის 12 მარტს ტფილისში იკრიბებიან სამ რესპუბლიკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, ეგრეთწოდებული სრულუფლებიანი კონფერენცია, რომელიც ღებულობს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკების ფედერატიული კავშირის პირველ კონსტიტუციას.

1922 წლის 12 მარტი არის ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ისტორიული თარიღი,—ფედერაციისა, რომელიც წარმოადგენს „ბურჟუაზიის დროს უმაგალითო და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელ ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუშს" (ვ. ი. ლენინის წერილიდან „აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთის რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს").

◇ ◇

# საფრანგეთის პირობები გერმანიასთან მოლაპარაკების შესახებ

**პარიზი**, 10 მარტი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ პარიზის პოლიტიკური წრეები თავდაჯერებულად შეხვდნენ იდენის განცხადებას თემთა პალატაში. ამ წრეებში ამბობენ, რომ საფრანგეთს შეუძლია დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიასთან ერთგვარ პირობებში.

1. მოლაპარაკება უნდა სწარმოებდეს ერთა ლიგის ჩარჩოებში და შესაძლო შეთანხმებანი უზრუნველყოფილ უნდა იქნას მესამე სახელმწიფოთა მიერ.

2. საფრანგეთის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არავითარი მოლაპარაკება არ დაიწყოს მუქარის ქვეშ, იქამდე სანამ გერმანიის ჯარები არ დასცლიან დემილიტარიზებულ ზონას, რომელიც ახლა მათ ხელშეკრულებათა წინააღმდეგ უკავიათ (ადს).

ალექსი სტახანოვი ოჯახით ამჟამად ისვენებს სოჭაში, სანატორიუმ „დონბასში". წარჩინებულ მაღაროელს ხშირად ეწვევიან ხოლმე სოჭაში დასასვენებლად ჩასული სტახანოველები. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხ. ალ. სტახანოვი, გალინა ზადოროჟნაია (დაჯილდოებული შრომის წითელი დროშის ორდენით) და დოლგოპოლოვი (მაღაროელი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული). სანატორიუმ „დონბასის" პარკში.

# საროს დეკლარაცია

**პარიზი**, 10 მარტი. დღეს საფრანგეთის მთავრობის მეთაური სარო დეკლარაციით გამოვიდა დეპუტატთა პალატაში. ანალოგიური დეკლარაცია გამოაქვეყნა იუსტიციის მინისტრმა, დელბოსმა სენატში. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ გერმანიის მიერ ლოკარნოს ხელშეკრულების ცალმხრივმა დარღვევამ უეცრად რთული და მძიმე პირობები შექმნა. დეკლარაცია მიუთითებს, რომ მიუხედავად გერმანიის დარწმუნებისა, თითქოს რეინის ზონის ოკუპაციას წმინდა სიმბოლური ხასიათი ჰქონდეს, ეს ოკუპაცია ნიშნავს ქვეითი ჯარის და არტილერიის 80-ზე მეტი ათასეულით. საბაბი, რომელიც გერმანიამ ამ თავისი აქტისათვის ამოირჩია, გახდა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც ამასწინათ დაიდო. დეკლარაცია უკუაგდებს გერმანიის არგუმენტაციას, თითქოს ეს ხელშეკრულება გერმანიის წინააღმდეგ იყოს მიმართული.

შემდეგ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის მთავრობა 10 თვის განმავლობაში საშუალებას აძლევდა გერმანიის მთავრობას გამოეხატა თავისი აზრი საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მიმართ. მაგრამ გერმანიის მთავრობამ ამჯობინა ერთპირად, ცალმხრივი აქტის გზით, მან დაარღვია ვალდებულებანი, რომლებიც ნებაყოფლობით ლოკარნოს ხელშეკრულების გზით და საფრანგეთი მოსახდარი ფაქტის წინაშე დააყენა.

დეკლარაცია ენერგიულ პროტესტს აცხადებს იმ მეთოდების წინააღმდეგ, რომელთა მიხედვითაც ყოველი ერი თავისი ცალმხრივი გადაწყვეტილებით განსაზღვრავს თავის უფლებებს და ხსნის ხელშეკრულებათა ძალას. დეკლარაცია ხაზგასმით აღნიშნავს საფრანგეთის მთავრობის ერთგულებას კოლექტიური უშიშროების იდეისა და ერთა ლიგისადმი, თუმცა გერმანიის მთავრობის აქტი სწორედ საფრანგეთის მთავრობას აყენებს უბედური სიტუაციის წინაშე. საფრანგეთს ეს საკითხი გადააქვს ერთა ლიგაში სწორედ იმ მიზნით, რომ შეინარჩუნოს ევროპის მშვიდობიანობის და კოლექტიური უშიშროების მომავალი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნავს დეკლარაცია, საჭირო იქნება ხელი აეღოთ კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციისათვის ომის შემდეგ მიმართულ ყველა ცდაზე, დავუბრუნდეთ შეიარაღების შეჯიბრებას და ომამდელ ხელშეკრულებათა სისტემას. რაც საშუალებას მისცემს სხვებზე უფრო ძლიერს დაიწყოს ომი იმ მომენტში, როდესაც იგი უფრო ხელსაყრელად მიიჩნევს.

„რაც შეეხება ჩვენ,—აღნიშნავს დეკლარაცია,—ჩვენ ერთა ლიგის განკარგულებაში გადავცემთ მთელს ჩვენს მორალურ და მატერიალურ ძალებს იმ მიზნით, რომ თავიდან ავიცილოთ გამოუსწორებელი უბედურება, იმ ერთადერთი პირობით, თუ მშვიდობიანობისათვის ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად იქნებიან ისინი, ვინც იკისრა ფორმალური ვალდებულება ლოკარნოს ხელშეკრულებით. ჩვენ მტკიცე იმედი გვაქვს, რომ ერთა ლიგის ყველა მონაწილენი თავიანთ საშუალებათა და თავიანთ ვალდებულებათა მიხედვით იბრძოლებენ ჩვენს მხარეზე იმ იდეალისათვის, რომელსაც ისინი ემსახურებიან".

რამდენადაც,—განაგრძობს დეკლარაცია,—მეტად რთულია ცდილობდა მიემართნა საფრანგეთის ხალხისათვის საფრანგეთის მთავრობის გვერდის ავლით, ამით იგი ახლა უფლებას აძლევს სხვა ხალხებსაც უშუალოდ მიმართონ გერმანიის ხალხს. დეკლარაცია, მიმართავს რა სწორედ გერმანიის ხალხს, არწმუნებს მას, რომ ფრანგებს არა აქვთ განზრახვა შეეხონ მისი ღირსება, თავისუფლება და, რომ საფრანგეთის ერი თანახმაა გერმანიის ერთან ერთად გამოძებნოს ყოველგვარი საშუალებანი, რათა უზრუნველყოს გერმანიის ხალხის კეთილდღეობა. მაგრამ როგორ ... საფრანგეთი გერმანიის მისწრაფებას—აცხადებს, თუ არა ამ პრობლემის გადაჭრას რეინის დემილიტარიზებული ზონის ოკუპაცია?

დეკლარაცია უარყოფს გერმანიასთან მოლაპარაკების დაწყების შესაძლებლობას ამ მომენტში და ამ პირობებში, ვინაიდან „საფრანგეთს არ შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკება ძალადობის მუქარის ქვეშ". საფრანგეთი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება გერმანიასთან მხოლოდ მაშინ, როცა კვლავ იქნება უზრუნველყოფილი საერთაშორისო კანონების პატივისცემა.

დეკლარაცია თავდება შემდეგი სიტყვებით: „საქმე აქ ეხება ევროპის მშვიდობიანობის მომავალს. საფრანგეთი, რომელიც ერთგულად იცავს თავის ტრადიციებს და თავის იდეებს, კვლავ ერთიანი უნდა იყოს მშვიდობიანობის გადარჩენის თავის მოქმედებაში".

სარის დეკლარაციას პალატამ დიდი უმრავლესობით ტაშით შეხვდა.

სარის დეკლარაციის შემდეგ პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ პოლ ბასტიდმა განაცხადა, რომ კომისია სავსებით უერთდება მთავრობის დებულებას და უცხადებს მას სრულ ნდობას (ადს).

◇ ◇

# იაპონიის ახალი მთავრობის პოლიტიკის პროგრამა

**ტოკიო**, 10 მარტი. დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ შედგა ხიროტას კაბინეტის პირველი სხდომა. პრემიერ ხიროტას და ფინანსთა მინისტრის ბაბას გამოსვლის შემდეგ სამხედრო მინისტრმა ტერაუციმ განაცხადა, რომ იგი ყოველგვარ ზომას მიიღებს, რათა თავიდან იქნას აცილებული თებერვლის ამბების შესაძლო განმეორებანი. მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ფუჯინუმას დანიშვნა კაბინეტის ბიუროს შეფად და ცუგიტას დანიშვნა საკანონმდებლო ბიუროს უფროსად.

სააგენტო იუწყება, რომ ხიროტას კაბინეტის მეორე სხდომამ, რომელიც დღეს დილით შედგა, გამოაცხადა ახალი მთავრობის პოლიტიკის პროგრამა, რაც 13 მარტს იქნება გამოქვეყნებული. სააგენტოს სიტყვით, პროგრამა შეიცავს შემდეგ პუნქტებს: 1. დამოუკიდებელი და პოზიტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება; 2 სახელმწიფო წყობილების რაობის განმარტება; 3. შეიარაღების გაძლიერება; 4 საშინაო ადმინისტრაციის გაუმჯობესება; 5. ქვეყნის ცხოვრების სტაბილიზაცია; 6. სახელმწიფო საფინანსო პოლიტიკის და საგადასახადო სისტემის რადიკალური გაუმჯობესება; 7. ეკონომიური პოლიტიკის გაუმჯობესება.

სხდომაზე აგრეთვე გამოვიდა სამხედრო მინისტრი ტერაუცი, რომელმაც განმარტა სამხედრო სამინისტროს პოლიტიკა არმიაში სამხედრო დისციპლინის განმტკიცების მხრივ.

ჩინეთის მიმართ ხიროტას მთავრობა შეეცდება აღადგინოს ნორმალური ურთიერთობანი ხიროტას სამი პრინციპის ბაზის საფუძველზე და განსაკუთრებით მიუთითებს იმას, რომ ჩინეთმა ხელსაყრელად მიიღოს კონკრეტული ღონისძიებანი „კომუნიზმის წინააღმდეგ შეერთებული ძალით ბრძოლისათვის". რაც შეეხება ინგლისს და ამერიკის შეერთებულ შტატებს, მთავრობა მიუთითებს „მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაზე, ხელშეკრულებათა, ვაჭრობის თავისუფლების, ემიგრაციის და სხვ. გადაჭრაზე".

დომეი ცუსინის სააგენტო სწერს: „იაპონია ხიროტას პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობისაკენ მიისწრაფვის, ძალაში რჩება, მაგრამ მთავარი საგარეო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი დაეთმობა კონტინენტალურ პოლიტიკას და კომუნიზმის გავრცელების შეჩერებას".

ამ პოლიტიკას,—განაგრძობს სააგენტო,—„შეიძლება მოჰყვეს საბჭოთა კავშირთან ცოტად თუ ბევრად დაძაბული ურთიერთობა, მაგრამ კონფლიქტი არ უნდა გავაფართოვოთ".

ხიროტას მთავრობა,—იუწყება სააგენტო,—აგრეთვე „პოზიტიურ პოზიციას დაიჭერს სამხრეთის წყნარი ოკეანის, ზღვების და იმ ადგილების ხელახლა განაწილების საკითხში, რომლებიც ჭარბი მოსახლეობის დასახლებლად გამოდგებიან".

ახალი მთავრობა შეეცდება,—სწერს შემდეგ სააგენტო,—თავიდან აიცილოს ისეთი ნაბიჯები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს „მეტოქეობა შეიარაღებაში და თუმცა გაატარებს შეიარაღების გაძლიერებას, მაგრამ იმ მიზნით, რომ მოახდინოს მშვიდობიანობის კონსოლიდაცია შორეულ აღმოსავლეთში" (ადს).

# ჩაის ახალგაზრდა ტექნოლოგების მისალმება ამხ. ლავრენტი ბერიას

**ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი!** სატიტესტერო კვალიფიკაციის დასაუფლებლად შეკრებილი ახალგაზრდა სპეციალისტები ჩაის ტექნოლოგები მხურვალე სალამს გიძღვნიან შენ, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკთა გამობრძმედილ ხელმძღვანელს, საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის ერთგულ მოწაფესა და თანამებრძოლს.

საქ. კომუნისტური პარტიის, მისი ც. კ-ისა და უშუალოდ შენი კონკრეტული, ყოველდღიური მზრუნველობისა და ხელმძღვანელობის შედეგად, ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი, ჩაის კულტურა წამყვანად გადაიქცა დასავლეთ საქართველოში. იგი კოლმეურნეობათა შემდგომი ზრდისა და განმტკიცების საფუძველი გახდა და უზრუნველყო კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრება.

შენი ლოზუნგი: „ვიზრუნოთ ჩაის თითოეულ ბუჩქზე", იმ ბერკეტად გადაიქცა, რომელმაც ჩაის პლანტაციები მთლიანად და თითოეული ბუჩქი, ცალკე, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, საკოლმეურნეო მასებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ყურადღების ცენტრში მოაქცია. ამის შედეგია, რომ ჩაის ბუჩქი ყოველწლიურად ზრდის თავის ნაყოფიერებას, ამის შედეგია ისიც, რომ ძლიერი ტემპებით ვითარდება ჩაის მრეწველობა—ჩაის ფაბრიკების — გიგანტების მშენებლობა.

ჩაის კულტურისა და მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდებიან და იბრძმედებიან ახალი კადრებიც, რომლებიც ბოლშევიკურ-სტახანოვური მუშაობის ნიმუშებს იძლევიან და, რომლებმაც კარგა ხანია არქივს ჩააბარეს ჩაის გადამუშავების ლაოჯინგაოების მიერ დანერგილი კუსტარული წესები.

ამჟამად ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შეიარაღებულ ფაბრიკებში, ახალგაზრდა ენტუზიასტები [illegible] სოციალისტურად აუმჯობესებენ ჩაის ხარისხს და წარმატებით ასრულებენ შენს დაპირებას დიდი ბელადისადმი, რომ ჩაის ხარისხის მხრივაც დავეწიოთ და გავუსწროთ უცხოეთის ქვეყნებს.

სატიტესტერო საქმე, ჩაის ხარისხის გამოცნობა—დამზადების შემდეგაც და მისი გადამუშავების პროცესშიაც,—ერთერთი მთავარი საშუალებათაგანია ამ ამოცანის საბოლოოდ და ურყევად გადაწყვეტისათვის.

ამ დარგის სპეციალისტები დღემდე არ მოგვეპოვებოდა. ძველი ტიპის რამოდენიმე ტიტესტერი, რომლებიც პოპოვების, კუზნეცოვების და სხვათა სავაჭრო ფირმებში უმუშავიათ, არ ჰქონდათ ჩაის გადამუშავების საწარმოო გამოცდილება. მათ მხოლოდ მზა ჩაის ხარისხის გამოცნობა აინტერესებდათ, მისი ღირებულებისა და ფასის განსაზღვრის თვალსაზრისით.

ჩვენ, ჩაის ახალგაზრდა ტექნოლოგებმა მიზნად დავისახეთ დავეუფლოთ სატიტესტერო ტექნიკას, რათა ჩვენი ცოდნა ტექნოლოგიის დარგში შევავსოთ ჩაის გამოცნობის ხელოვნებისა და გამოცდილების შეთვისებით და ამრიგად მთლიანად დავეუფლოთ ჩაის გადამუშავების საქმეს.

ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებას, პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი, უმოკლეს ვადაში, საფუძვლიანად და ღრმად შევისწავლოთ სატიტესტერო საქმე და შენი გამობრძმედილი ხელმძღვანელობით წავალთ დაძაბულ მუშაობასა და ბრძოლაში ახალი გამარჯვებებისათვის.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკთა მებრძოლ ხელმძღვანელს ამხ. **ბერიას!**

გაუმარჯოს მთელი ქვეყნიერების მშრომელთა წინამძღოლს, საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს!**

გ. ხარებავა, ა. საინიშვილი, ლ. გვილია, ი. კოხია, გ. ჩაკვეტაძე, ი. ზარანდია, ა. ქარჩავა, მ. მაჭავარიანი, ვ. თავართქილაძე, ა. ჯიჯეიშვილი, ნ. გერსამია, პ. დოლიძე, ვ. კორტავა, შ. ბუწხვა, დ. ციცხლაძე, ნ. ჯალაღანია, კ. მოსიძე, ვ. ჯინჭარაძე, ლ. ქირია, ო. მახარაძე, დ. ცინცაბაძე, მ. შალვაშვარიძე, ქ. ბილისოძე და სხვ. (სულ ხელს აწერს 43 ამხანაგი).

◇ ◇

# ნაკისრ ვალდებულებას ბოლშევიკურად ანაღდებენ

### (თელავი, ჩვენი საქ. კორესპონდენტისაგან).

თელავის რაიონის მევენახეობის კოლმეურნეობებმა მეტად სერიოზული ვალდებულება იკისრეს:—1936 წელს გააშენონ ახალი ვენახი 300 ჰექტარზე, ნაცვლად საქ. მიწსახკომის მიერ გეგმით მიცემული 35 ჰექტარისა.

რაიონის მოწინავე კოლმეურნეებმა და სპეციალისტებმა ამხ. ლავრენტი ბერიასადმი გაგზავნილ წერილში ვალდებულებად აიღეს წინასწარ მოამზადონ ყველა პირობა და მიაღწიონ ნამყენი ვაზის 70—80 პროცენტით გახარებას, ნაცვლად დღემდე დაწესებულია 45—50 პროცენტისა.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა კოლმეურნეობების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. კოლმეურნეობები გაამაგრა გამოცდილი მევენახე სპეციალისტებით და აგროტექნიკოსებით.

ახალი ვენახისათვის ნიადაგი მომზადებულია უკვე 455 ჰექტარზე, ნაცვლად 300 ჰექტარისა რომელიც მათ იკისრეს. ამ მიმართულებით მუშაობას აგრძელებენ ბაკურციხის ამხ. სტალინის სახელობის, ნაფარეულის ამხ. მ. ცხაკაიას სახელობის, ზემოხოდაშნის, იყალთოს და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები. ნიადაგის მთლიანად მომზადება დანარჩენ კოლმეურნეობებშიაც 15 მარტისათვის დამთავრდება.

რაიონის კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან ამერიკული ვაზის ლერწით (მწარე ვაზი), რომელზედაც დაიმყნობა ჩვეულებრივი ადგილობრივი ჯიშის ვაზი. მწარე ვაზი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან იქნა შემოტანილი. მიღებული ლერწი განაწილებულია კოლმეურნეობებზე.

15 მარტიდან იწყება ვაზის მყნობა. ამ მეტად პასუხსაგებ სამუშაოსათვის ნიადაგი ყოველმხრივ მომზადებულია. ამ შემთხვევაში ჩატარებული მუშაობის წარმატებას სწყვეტენ კადრები (მყნობელები) და ფართოვე სათბურები, სადაც უნდა გამოიყვანონ ნამყენი. მყნობელთა კადრებით უზრუნველყოფილია ყველა კოლმეურნეობა. მოეწყო მყნობელთა ორკვირიანი გადასამზადებელი კურსები, რომელიც გაიარა 251 კაცმა. შეკეთდა ყველა არსებული სათბური, 9 კოლმეურნეობაში აშენდა ახალი სათბურები.

საქ. კ.პ. (ბ) თელავის რაიკომის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება შრომის ახალი ორგანიზაციის შესახებ ვაზის მყნობა-გახარების პერიოდში. ამ გადაწყვეტილებით, რომელიც წინასწარ განიხილეს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე, ისპობა გაუპიროვნება მყნობელთა შორის. შარშან მყნობელი მარტო ამყნიდა და ის განთავისუფლებული იყო ვაზის გახარების დანარჩენი პროცესების პასუხისმგებლობისაგან, წელს ასე არ იქნება. მყნობელი პასუხისმგებელია მის მიერ დამყნილ ვაზის საბოლოო გახარებამდე მთელი პროცესის გათვალისწინებით.

მყნობელთა შეუფერხებელი მუშაობა დამოკიდებულია სანამყენე დანების მომარაგებაზე და მათ ვარგისიანობაზე. ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველა კოლმეურნეობა ვერ არის უზრუნველყოფილი. საჭიროა „სელხოზსნაბის" რესპუბლიკურმა სამმართველომ უნდა მიიღოს საჩქარო ზომები კოლმეურნეობების უზრუნველსაყოფად საჭირო რაოდენობის სანამყენე დანებით.

ადგილებზე ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის შემოწმებით გამოირკვა, რომ რაიონის მევენახეობის კოლმეურნეობებს შორის ნიადაგი ყველაზე უკეთესად მომზადებულია აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეს" (ხელმძღვანელი ამხ. ვ. კანაშვილი), რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავს" (ხელმძღვანელი ალ. თეალიაშვილი), შალაურის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას (ხელმძღვანელი ამხ. შ. გოგოლაშვილი) და სხვებს. კოლმეურნეობებში დანერგილია მუშაობის სტახანოვური მეთოდი.

სპეციალისტთა შორის ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლით იძლევა აგრონომი ამხ. **რეზო სავანელი**, რომელიც მუშაობს შალაურის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. იგი უშუალოდ მყნობელს ყოველდღიურად აძლევს პრაქტიკულ მითითებებს, ამოწმებს და ეხმარება მათ მუშაობაში. ამხ. სავანელის ინიციატივით მთელი სავენახე ნაკვეთი შემოიფარგლა მჭიდრო ღობით, რაც ნამყენს დაიცავს წახდენისაგან.

ეჭვს გარეშეა, რომ თელავის რაიონის კოლმეურნეობები, რაიონული პარტიული კომიტეტის კონკრეტული დახმარებით და ხელმძღვანელობით, ბოლშევიკურად გაანაღდებენ იმ ვალდებულებას, რომელიც იკისრეს პარტიისა და ხელისუფლების წინაშე, პირადად ამხ. ლავრენტი ბერიას წინაშე.

**არ. კოკილაშვილი**

---

**გ. მუსაბეკოვი**

# ამიერ-კავკასიის ფედერაციის 14 წელი

1922 წლის 12 მარტი ერთერთი სახელოვანი თარიღია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ცხოვრებაში, უმნიშვნელოვანესი ფაქტია საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ხალხთა ცხოვრებაში.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს, საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სრულუფლებიან კონფერენციაზე მიღებულ იქნა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიული კავშირის კონსტიტუცია. კონფერენციამ დაამტკიცა „საკავშირო ხელშეკრულება" და დაარსა საკავშირო საბჭო.

ამ ისტორიულ დღეს საბჭოთა აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მშრომელებმა საზეიმოდ და ყველას გასაგონად ამცნეს მთელს მსოფლიოს, რომ ისინი კვლავ აღადგენენ და ამტკიცებენ ამიერ-კავკასიის ხალხთა ურღვევ მეგობრობას.

ამიერ-კავკასიის ხალხებმა ეს მეგობრობა შეინარჩუნეს ხანგრძლივი შეუპოვარი ბრძოლით მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მტრებთან.

რუსეთის მეფეები და საქართველოს მემამულეები, აზერბეიჯანის ფეოდალები და სომხეთის კაპიტალისტები დიდხანს ამხედრებდნენ ამიერ-კავკასიის ხალხებს ერთიმეორის წინააღმდეგ, რათა თავისი ბატონობა უფრო განემტკიცებინათ.

თავისი დამოუკიდებლობისათვის საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ხალხთა გმირული ბრძოლის ისტორია არის ამავე დროს ისტორია ბრძოლისა დიადი ურთიერთი მეგობრობისათვის, რომელიც ნამდვილი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მთავარ პირობას წარმოადგენს.

ვერც ცარიზმის მძიმე უღელმა, ვერც მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატისტების კონტრრევოლუციურ მთავრობათა შოვინიზმის ველურმა პარპაშმა ვერ შეარყიეს ამიერ-კავკასიის ხალხთა ნებისყოფა ერთაშორისო მშვიდობიანობისადმი.

მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატისტები გაერთიანდნენ პროლეტარულ რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისინი აწყობდნენ ეროვნულ უმცირესობათა რბევა-აწიოკებას და ცდილობდნენ გაეღეჯათ ამიერ-კავკასიის მშრომელთა ერთიანი ფრონტი.

იმპერიალისტთა და კაპიტალისტთა დაქირავებული აგენტების იმ პროვოკაციებს, რომ დაეთესათ შუღლი და სიძულვილი ქართველებს, თურქებს და სომხებს შორის,—ამ ხალხთა მშრომელნი უპასუხებდნენ კიდევ უფრო მეტი ურთიერთი ნდობითა და დაახლოვებით.

ამიერ-კავკასიის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ლენინისა და სტალინის მიერ აღზრდილი კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით — საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის მუშები და მშრომელნი აწარმოებდნენ ბრძოლას „შინაური" კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა არა მარტო გაეთიშა ისინი, არამედ მოეწყვიტა კიდეც რევოლუციური რუსეთისაგან.

ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები რაზმავდნენ მუშებსა და ჩაგრულ გლეხებს ინტერნაციონალიზმის დიადი დროშის ირგვლივ. ამხანაგი სტალინი აღაგზნებდა, რაზმავდა ამიერ-კავკასიის მუშებსა და მშრომელთ და მიჰყავდა ისინი საბოლოო გამარჯვებისაკენ. „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერკავკასიის და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა, მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან" (ლ. ბერია. „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის").

საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მუშებმა და მშრომელმა გლეხებმა, რომლებმაც რუსეთის დიადი პროლეტარიატის დახმარებით გაანდევნეს მჩაგვრელები და ექსპლოატატორები, საბოლოოდ განამტკიცეს ინტერნაციონალური მეგობრობა.

ამიერ-კავკასიის მშრომელებმა დაამყარეს რა საბჭოთა ხელისუფლება, ლენინისა და სტალინის პირდაპირი მითითებების შესრულებით შექმნეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია „ბურჟუაზიის დროს უმაგალითო და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუში" (ლენინი).

ამ ლენინურ ანდერძს საბჭოთა ამიერ-კავკასიის მშრომელნი წმინდად ასრულებენ.

ლენინისა და სტალინის პირდაპირი მითითებათა საფუძველზე, ამხ. სერგო ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ამხილეს და გაანადგურეს საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის კომპარტიათა ნაციონალ-უკლონისტური ჯგუფები. ნაციონალ-უკლონისტები მიისწრაფოდნენ აეცდინათ ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები ლენინურ-სტალინური გზიდან. ახორციელებდნენ რა მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატისტების ზეგავლენას, ნაციონალ-უკლონისტები ბოლშევიკურ ინტერნაციონალიზმს უპირისპირებდნენ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. მხოლოდ ნაციონალ - უკლონიზმის განადგურებით უზრუნველყვეს ამიერ - კავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის წარმატებით განხორციელება.

ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის განსახიერებას წარმოადგენს ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის, ამ „ეროვნული მშვიდობიანობის ინსტრუმენტის" შექმნა.

ა.-კ. სფს რესპუბლიკის არსებობის 14 წელი კვლავ ხაზგასმით გვიჩვენებს, რომ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც სსრ-კის ხალხებს განუყრელ მძლავრ კავშირად აერთიანებს, წარმოადგენს ძმური დამეგობრება, საერთო შრომა უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების დიად საერთო საქმეში.

ა.-კ. სფს რესპუბლიკის 14 წელი—ეს არის საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის სს რესპუბლიკების განუწყვეტელი სამეურნეო და კულტურული ზრდის პერიოდი, ეს არის მათ უდიდეს ისტორიულ გამარჯვებათა წლები. ამ გამარჯვებათა შედეგები რესპუბლიკებმა სულ ამ ცოტა ხნის წინათ ზეიმით გადაიხადეს. ამ დაუვიწყარ საიუბილეო დღეებში ამიერ-კავკასიის მშრომელებმა საყოველთაოდ ცხადყვეს, თუ რა უდიდესი საქმეების გაკეთება და რა გმირობის ჩადენა შეუძლიათ თავისუფალ ხალხებს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკებს—იმპერატორის რუსეთის ამ „განაპირა კუთხეებს" კაცი ველარ იცნობს.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია ხალხის შრომითა და გმირობით, ბოლშევიკური პარტიის ნებისყოფით, ლენინისა და სტალინის გენიით მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარული რესპუბლიკა გახდა.

ახლად შექმნილია მძლავრი სოციალისტური მრეწველობა. უდიდეს ბუნებრივ სიმდიდრეთა ბაზაზე შექმნილია მეურნეობის ახალი დარგები წარმოიშვა უდიდესი ინდუსტრიული ცენტრები. გაიზარდნენ პროლეტარიატის ახალი მრავალ-რიცხოვანი კადრები მკვიდრი მოსახლეობიდან სტახანოვური მოძრაობა მუშათა უფრო და უფრო ფართო მასებს ედება. კოლმეურნეობებში ჩაბმულია გლეხურ მეურნეობათა 73,5 პროც. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საკოლმეურნეო სოფელი მტკიცედ მიდის შეძლებული, სიხარულით აღსავსე, კულტურული ცხოვრების გზით. ათასობით გაიზარდნენ ახალი ადამიანები—მოსავლიანობის მოწინავენი სტახანოველი ტრაქტორისტები და სხვ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკათა სოციალისტური მშენებლობის 14 წლის შედეგებმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ მხოლოდ საბჭოთა წყობილება უზრუნველყოფს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებას. წარმატებით ხდება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. 1935 წლის დამლევს მოსახლეობის (8-დან 50 წლამდე) 90 პროცენტი იყო წერაკითხვის მცოდნე. 1936-37 წლების განმავლობაში წერაკითხვის უცოდინარობა ა.-კ. სფს რესპუბლიკაში სავსებით ლიკვიდირებული იქნება. დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლობს 1.330.000 მოწაფე, ნაცვლად 1914 წლის 259.500-სა. 1935 წელს 49 უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლობდა 42.900 სტუდენტი და სტუდენტი ქალი. 1914 წელს კი მთელი ამიერ-კავკასიისათვის იყო ქალთა ერთი უმაღლესი კურსები 315 მოსწავლით.

ახალი, კიდევ უფრო გრანდიოზული ამოცანები დგანან ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკების წინაშე.

გასული წლის წარმატებებმა ყველა პირობა შექმნა იმისათვის, რომ 1936 წელს კვლავ მკვეთრად წავიწიოთ წინ და შევასრულოთ უდიდესი აღმავლობის პროგრამა ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკათა ცხოვრების ყველა დარგში. სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იქნება 1.500.000 ათასი მანეთი. ა.-კ. სფს რესპუბლიკის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1936 წელს შეადგენს დაახლოვებით 2.500 მილიონ მანეთს. 1936 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება საშუალებას მოგვცემს მთელ რიგ მნიშვნელოვან დარგებში არა თუ მთლიანად შევასრულოთ 4 წელიწადში მეორე ხუთწლედის გეგმა, არამედ გადავაჭარბებთ კიდეც. ნავთი უნდა მივიღოთ 20,5 მილიონი ტონა, გაზი 1.700 ათასი ტონა, რაც 3,5-ჯერ აჭარბებს ომის წინადროინდელ ამოღებას.

ბამბის საერთო პროდუქცია 1936 წელს შეადგენს 2,17 მილიონ ცენტნერს (ნაცვლად, 1935 წლის 1,067 მილიონისა). 1936 წელს მოკრეფილი იქნება 19,6 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 1935 წლის 12,6 ათასი ტონისა. ციტრუსოვანთა ნაყოფების გეგმა 1936 წელს შეადგენს 280 მილიონ ცალს, ნაცვლად 1935 წლის 189 მილიონისა.

უდიდესია კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმა. სახალხო განათლების საქმეში დაბანდებული იქნება 57,5 მილიონი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვისათვის ასიგნებული იქნება 63 მილიონი მანეთი, კომუნალური მეურნეობა ღებულობს 140 მილიონ მანეთს. სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებულია 1.217.840 ათასი მანეთის ოდენობით, ნაცვლად 1935 წლის 907.735 ათასისა.

ა.-კ. სფს რესპუბლიკების მიერ, საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, ამხ. ლავრენტი ბერიას საბრძოლო ხელმძღვანელობით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დირექტივის შესრულებამ უზრუნველყო ამიერკავკასიის ფედერაციის გადაქცევა „საბჭოთა კავშირის მარგალიტად".

ამიერ-კავკასიის, დიადი საბჭოთა კავშირის ამ განუყრელი ნაწილის ხალხები შემჭიდროვებული არიან უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა ერთიან შეხმატკბილებულ ოჯახში.

„მეგობრობა სსრ კავშირის ხალხებს შორის—ამბობს ამხანაგი სტალინი,—დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან ვიდრე ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან".

ურღვევია დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა! ამაოა იმედები იმპერიალისტებისა, რომლებიც ომს ამზადებენ საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ! მათ იმედი გაუცრუვდებათ თავის მტაცებლურ გეგმებში, როგორც უკვე გაუცრუვდათ 1918—1920 წლებში. საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკები, ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკების მუშები და კოლმეურნენი, დიადი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად, გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემენ კლასობრივ მტრების ხრიკებს, განადგურებულ ექსპლოატატორთა კლასების ნამსხვრევთა ყველა მახინაციებს.

საბჭოთა ნიადაგზე აყვავდნენ საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი. ნამდვილი საბჭოთა დემოკრატიზმის ზრდა საბჭოთა იმ ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც „ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია იქნება მსოფლიოში არსებულ ყველა კონსტიტუციათა შორის" (სტალინი). ამასთან ერთად იქნება დიადი მძლე საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შორის ძმური ინტერნაციონალური კავშირის ახალი ზრდა.

მტკიცე და მძლავრია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი! ურყევი, უძლეველია ჩვენი მშვენიერი სამშობლო!

# სტახანოველებს სანიმუშო კულტურული მომსახურება!

## ახლა სხვებს ვასწავლი

— მრცხვენოდა წერა-კითხვის უცოდინარს, ორ კაცს ვერ დაველაპარაკებოდი, როცა სოფლიდან პირველად ჩამოვედი ტფილისში და მოვეწყე სტალინის სახელობის ორთქლმავლების შემკეთებელი ქარხნის საქვაბე საამქროში დამხმარე მუშად. ეს იყო 1923 წლის დასაწყისს.

დიდი ხანი არ გასულა, რომ ვაგხდი მექვაბის თანაშემწე. 1925 წლიდან ვარ პარტიის წევრი. მასწავლეს წერა-კითხვა. ახლა ვარ მე-7 თანრიგის მექვაბე და ვხელმძღვანელობ ბრიგადას.

დამკვრელობაში არც წინათ ჩამოვრჩებოდი სხვას, მაგრამ სტახანოვურმა მოძრაობამ უფრო მეტად გამიტაცა. ამ მოძრაობის ამბავი პირველად გაზეთებში წავიკითხე; გულდასმით შევისწავლე ამ მოძრაობის საკითხები პარტიულ და საწარმოო თათბირებზე, შევასწავლე ბრიგადის წევრებს, სამუშაო გავანაწილე მათი კვალიფიკაციის მიხედვით. პირველმა ცდამ მოლოდინს გადააჭარბა: თუ ბრიგადა გეგმას წინათ 140 პროცენტით ასრულებდა, სტახანოვურად მუშაობის პირველ დღეს გეგმა 200 პროცენტით შესრულდა.

ბრიგადაში შემოღებული მაქვს 5-10 წუთიანი თათბირი ყოველდღე, მუშაობის დამთავრებისას, შემდეგ დღის სამუშაოს წინასწარ გასანაწილებლად. ამ მეთოდის საფუძველზე ბრიგადის თვითეულმა წევრმა იცის თავისი საქმე. გეგმის შესრულება გავზარდე 400 პროცენტამდე. ამჟამად ბრიგადაში 7 ნაცვლად 6 კაცი მუშაობს, უფრო მეტად რომ შემიწყონ ხელი, ოთხი კაცითაც შემიძლია ვიმუშაო.

ბრიგადის მთელი შემადგენლობა ემეცადინეობთ ახლად ჩამოყალიბებულ სტახანოვურ ტექნიკურ წრეში. ვარ პოლიტსკოლის აქტიური მსმენელი. თუ წინათ ორ კაცს ვერ დაველაპარაკებოდი, ახლა აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ კრებებზე კამათში. სტახანოვურ მოძრაობასთან დაკავშირებით რამდენიმე ახალგაზრდას შევასწავლე ქვაბებზე მუშაობის საქმე. უპარტიო ახალგაზრდას კოლია მარტიაშვილს სამ თვეში შევასწავლე მექვაბის ხელობა. 15 იანვრიდან იგი მუშაობს მექვაბის თანაშემწედ მე-3 თანრიგში ახლა მარტიაშვილს ვამზადებ კომკავშირის რიგებში ჩასადგომად.

სტახანოვურად მუშაობის დაწყებამდე ჩემი ხელფასი 400 მანეთს არ აღემატებოდა, სტახანოვურად მუშაობის შემდეგ კი გაიზარდა ხელფასიც — ნოემბერში მივიღე 700 მან., დეკემბერში 840 მან. გაიზარდა ჩემი კულტურული მოთხოვნილებაც. ბავშვებს ვუყიდე გიტარა, შევიძინე საჭურჭლე კარადა, საოჯახო ნივთები. ახლა უხორცოდ სადილი იშვიათია ჩემს ოჯახში. პროფორგანიზაცია მაძლევს შეღავათიან და ზოგჯერ უფასო ბილეთებს და ცოლშვილით დავდივარ კინო-თეატრებში (უფრო ხშირად კი პლეხანოვის სახელობის კლუბში).

იმდენად გავთვითცნობიერდი და შევისწავლე პარტიის პოლიტიკა, რომ ამირჩიეს პარტჯგუფორგად. ვხელმძღვანელობ 42 კაცს. ჩემს პარტჯგუფში, გარდა საქარხნო გაზეთ „ჩვენი საყვირისა“, გავრცელებული მაქვს 20 ეგზემპლარი „კომუნისტი“, 14 „ზარია ვოსტოკა“ და „ბოლშევისტსკაია პუტიოვკა“, 14 „მუშა“, 10 „ახალგაზრდა კომუნისტი“ და 1 „იზვესტია“. ბრიგადაში ვკითხულობთ გაზეთს ხმამაღლა. მე თითონ გამოწერილი მაქვს და ვკითხულობ გაზ. „კომუნისტს“, „მუშას“ და საქარხნო გაზეთს. ვკითხულობ პოლიტიკურ და მხატვრულ ნაწარმოებებს. ვსწავლობ პოლიტიკურ ეკონომიას, „ლენინიზმის საკითხებს“. კარგად შევისწავლე ამხ. ბერიას მოხსენება „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის“. შეძენილი მაქვს „ვეფხვის ტყაოსანი“, „არსენა მარაბდელი“ და სხვ.

თვითონ მე, ყოფილი წერა-კითხვის უცოდინარს, მიკვირს, რომ არა თუ საქარხნო გაზეთში, ახლა „კომუნისტშიც“ კი ვწერ წერილს. კულტურულ გავითარებაში, უდავოა, ხელს მიწყობენ ქარხნისა და საამქროს პარტიულ - პროფესიული ორგანიზაციები.

სტახანოვური მეთოდით მუშაობის ბარაქიანმა ხელფასმა ამიძრა პიანინოს შეძენის სურვილი. მალე შევიძენ კიდეც. დამკვრელთა საკავშირო დღეს, 11 იანვარს, ჩვენი ქარხნის სტახანოველთა შეკრებაზე დამაჯილდოვეს სტალინის გაწვევის დამკვრელის საპატიო ნიშნით. წინათ ცუდ ბინაში ვცხოვრობდი, ეხლა ქარხნის [illegible] მომცა ოროთახიანი საუკეთესო ბინა სამზარეულოთი მესამე სართულზე. პროფორგანიზაციისაგან მივიღე საგზური ერთი თვით კისლოვოდსკში დასასვენებლად; ექიმების დასკვნით, ჩემი ცოლშვილი უნდა გაიგზავნოს კურორტ სურამში; საამისო საგზური უკვე მზად არის. ქარხნის უფროსის განკარგულებით მომცეს საოჯახო სუნუქის ღუმელი. დამპირდნენ ერთ წყვილ საწოლს. ერთი სიტყვით, კულტურულ მომსახურეობაში მზრუნველობას არ მაკლებენ.

**სტახანოველი ივანე ქებაძე.**

◆ ◆ ◆

## მეც საამურად ვცხოვრობ

მე-18 წელიწადია, რაც ამხ. ბერიას სახელობის ვაგონების შემკეთებელი ქარხნის საბორბლე-სახარატო საამქროში ბორბლების მჩარხავად ვმუშაობ.

მე ვჩარხავ ორთქლმავლის ბორბლებს. სოცშეჯიბრება - დამკვრელობის დაწყების დღიდან 20-ჯერ ვარ დაჯილდოვებული, ჯილდოდ მიღებული მაქვს ხელის საკერავი მანქანა, საწოლი, კოსტუმი და სხვ. მაგრამ დღემდე ჩემი ცოდნა და კულტურული ცხოვრება მაინც დაბალ დონეზე იყო, თუმცა 1924 წელს საამქროს ორგანიზაციებმა გამგზავნეს მუშფაკში ვწერ წერილებს საქარხნო ნაბეჭდ გაზეთში. რამდენჯერმე მიმიღია მონაწილეობა გაზ. „კომუნისტის“ მიერ მოწყობილ რეიდში

საწარმოო საკითხებზე წინათაც მქონდა ხოლმე საუბარი ჩემი ოჯახის წევრებთან, მაგრამ იშვიათად. სტახანოვური მოძრაობის შემდეგ კი, რომ არ მინდოდეს, ოჯახის წევრები თვითონ მკითხავენ ყოველდღიური მუშაობის მიმდინარეობაზე. ეს მე ძალიან მახარებს. სამაგიეროდ მეც ჩამოვართმევ ხოლმე ბავშვებს ანგარიშს, თუ როგორ ისწავლეს სკოლაში. სტახანოვური მეთოდით ნამუშევარი ხელფასიდან შვილებს კარგი სწავლისათვის გიტარა და მანდოლინა ვუყიდე. ნამუშევარ მამას ცოტა შესვენების შემდეგ მუსიკით მართობენ ხოლმე.

პარტიის წევრი ვარ 1924 წლიდან. დღემდე მე ფიქრად არ მომსვლია, თუ ორ დაზგაზე შეიძლებოდა მუშაობა, მაგრამ სტახანოვური მეთოდის შესწავლის შემდეგ გადავედი ორ დაზგაზე. თუ წინათ ვჩარხავდი სამგზავრო მატარებლის ორთქლმავლის ერთ შესაბამ ბორბალს ცვლაში, ახლა ვჩარხავ ორ ცალ ბორბალს და მეტს. დღიურ გეგმას 350 პროცენტით ვასრულებ. ხელფასს 200-ის მაგიერ ვიღებ 600 მანეთს. ამ მიღწევებში ხელი შემიწყო ტექნიკურ წრეებში შეძენილმა ცოდნამ. ვარ პოლიტსკოლის აქტიური მსმენელი.

მთელი ოჯახი შევმოსე. ბავშვები უზრუნველყოფილი მყავს წიგნებით, შევიძინე საოჯახო ნივთებიც. ახლახან ცოლი რბილი ავეჯის ყიდვას მთხოვს.

საამქროს სამკუთხედი არ მაკლებს მზრუნველობას და თეატრში წასასვლელ ბილეთებსაც მაძლევს. გამოწერილი მაქვს 4 გაზეთი: „კომუნისტი“, „მუშა“, „ბოლშევისტსკაია პუტიოვკა“ და საქარხნო გაზეთი. უფროსი ქალიშვილი ახლა 14 წლისაა; მას ცალკე მოსდის „ახალგაზრდა კომუნისტი“. ვაჟი 12 წლისაა, მას გამოწერილი აქვს „პიონერი“.

გასაჩარხი ბორბლები მეტი რაოდენობით რომ მომაწოდონ, შემიძლია გეგმა შევასრულო 450 პროცენტით. წარმოებასაც მეტ სარგებლობას მივცემ და მეც მეტ ხელფასს მივიღებ.

მიღწეულ შედეგებს უფრო გადავაჭარბებ და შვილებსაც კულტურულად აღვზრდი. ასეთია ჩემი სტახანოვური მუშაობის შედეგები ჩემს მხიარულ ოჯახშიც და წარმოებაშიც.

**სტახანოველი გ. ბერაშვილი**

სტალინის სახელობის ორთქლმავალთშემკეთებელი ქარხნის საქვაბე საამქროს გამომგონებელი სტახანოველი მიხ. გიწაძე, მისი მეუღლე ბაბულა პატარა ვალენტინას ასწავლიან გიტარაზე დაკვრას.
ფოტო რ. აკოფოვისა

## კულტმასობრივი მუშაობის დღიური

### (ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა)

მანქანების რიტმულ ხმაურში მკაფიოდ მოისმის გამარჯვებულ ადამიანთა გულის ძგერა. აბრეშუმის ფაბრიკის სტახანოვურ რაზმს, ქარხნის მთლიან კოლექტივს თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ადამიანების საამურ ცხოვრებაში. ისინი ძვირფასი ქსოვილებითა და ფარჩეულით ჰმოსავენ ჩვენს მუშებსა და კოლმეურნეებს, მუშა-ქალებსა და კოლმეურნე ქალებს.

ფაბრიკის სტახანოველები, დამკვრელები, მუშები ტექნიკას ეუფლებიან, გეგმებს ასრულებენ და სრულიად სამართლიანად მოითხოვენ საუკეთესო კულტურულ მომსახურებას, გართობასა და დასვენებას.

○

**ვერავინ იტყვის აქ ფაბკომი არ მუშაობსო.** აბა გადახედეთ ფაბრიკაში კულტმასობრივი მუშაობის დღიურს, რომელიც კლუბის გამგესთან ინახება:

**„1936 წლის 2 მარტს.** თვითგართობა კლუბში. დასვენების დროს მუშები თავს იყრიან, როიალს უკრავენ, ცეკვავენ, მღერიან, ერთობიან. 60 კაცმა მიიღო მონაწილეობა. ჩატარდა წერა-კითხვის უცოდინართა სკოლისა და ჯაზ - ორკესტრის წრის მეცადინეობა. წერა - კითხვის უცოდინართა სკოლის ერთი ჯგუფიდან 15 კაცი გამოუშვეს. მათ შორის წერა-კითხვა და ანგარიში დაწყებითი სკოლის ფარგლებში „ფრიადზე“ შეისწავლეს მოწინავე მუშებმა: მაშო ლაფანაშვილმა, ქეთო მამულაშვილმა, თინა ლიაძემ, თამარ ნათელაშვილმა და ლიზა ჯიოშვილმა. საღამოთი მოეწყო ცეკვის წრის მორიგი მეცადინეობა, მონაწილეობას იღებდა 25 კაცი. ორი სტახანოველი დაესწრო მარჯანიშვილის სახ. თეატრის წარმოდგენას“.

**„3 მარტს.** ორი სტახანოველი სახ. ცირკში წავიდა. ჯაზ-ორკესტრის მეცადინეობა ჩატარდა, წრის ხელმძღვანელის დახასიათებით მუსიკაში საუკეთესოდ მეცადინეობენ ელ. ცინცაძე, ტასო ტატიშვილი, ოლია კილატოშიშვილი, თამარ კალანდაძე და ნ. ბალანაშვილი, ესენი ქსოვის ტექნიკასთან ერთად მუსიკალურ ტექნიკასაც წარმატებით ითვისებენ, საღამოთი ჩატარდა დრამწრის რეპეტიცია“.

ასეთია დაახლოვებით კულტმასობრივი მუშაობის დღიური ფაბრიკაში. ამას დაუმატეთ ის, რომ მოწინავე სტახანოველებს ამაგრებენ მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს. მათთან სტახანოველები ეცნობიან საინტერესო საკითხებს. მაგალითად, დავ. მურჯიკნელი სწავლობს პარტიის ისტორიას და წესდებას, მათემატიკას. **ქეთო ჰუმბურიძეს** ქარხნის წარჩინებულ ადამიანს — აინტერესებს სამედიცინო საკითხები და გეოგრაფია. **მარგო ჩიჩელაშვილს** — საექიმო დარგი, ადამიანის ანატომია და მათემატიკა. საქსელე საამქროში **მარო გიორგობიანი** გატაცებულია მხატვრული ლიტერატურით. მან ტოლსტოის თხზულებათა 1 ტომი წაიკითხა, თეატრისა და ოპერის ყველა ახალი დადგმა ნახა.

აბრეშუმის მრეწველობის მუშათა კავშირმა ანგარიში გაუწია მუშების ამ მისწრაფებას სწავლისა და კულტურისადმი. იგი ფაბრიკას კვალიფიციურ მეცნიერულ ძალებს აძლევს.

კულტურულ - მასობრივი მუშაობა განსაკუთრებით გამოცოცხლებულია საქსოვ საამქროში, სადაც პროფორგად დაწინაურებული მუშა ამხ. **ვარა მამუჩაშვილი** მუშაობს. აქ ხშირად აწყობენ კოლექტიურ სვლას კინოსა და წარმოდგენებზე, განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩნენ 26 თებერვალს საკოლმეურნეო დოლზე კოლექტიური დასწრებით. აქ სტახანოველებს ეკითხებიან თუ როგორი რეპერტუარი და კონცერტი აინტერესებთ მათ და საღამოების პროგრამასაც მათთან ერთად ადგენენ.

○

**არც იმის თქმა შეიძლება, რომ ფაბრიკაში ყველაფერი რიგზე იყოს** ამაზე თვით ქარხნის სტახანოველები ჩივიან.

— ჩვენი ბიბლიოთეკა კარგად ვერ გვემსახურება. საინტერესო წიგნები საკლებად აქვთო — ამბობს სტახანოველი **ვახო მუჯირიშვილი.**

ბიბლიოთეკა გარეგნულად არც ისე ურიგოა. მაგრამ საინტერესო მხატვრული და პოლიტიკური წიგნები საკმაოდ არა აქვთ. სტახანოველებმა დიდი ხანია ბიბლიოთეკას თავიანთი მოთხოვნა წარუდგინეს, საინტერესო წიგნების სია შეადგინეს, მაგრამ დღემდის ეს სია მაგიდის უჯრაში ინახება. ბიბლიოთეკის გამგე **ვ. მაჭარაშვილი „უფულობით“** იმართლებს თავს.

— ფაბრიკის კლუბის დარბაზი 300 კაცს ძლივს იტევს. (აქ 1500-მდე მუშაა). იქაც ხშირად იმართება სხვადასხვა ორგანიზაციის კრებები. ეს კლუბში კულტმასობრივ მუშაობის გაშლას აძნელებს — ჩივის კლუბის გამგე.

— ცირკში, წარმოდგენებზე და კინოებში სვლა უფრო ხშირად უნდა ეწყობოდეს, მოხსენებები სხვადასხვა მეცნიერულ საკითხებზე და დისპუტები უფრო ხშირად უნდა იმართებოდეს, შადრაკისა და სასულე ორკესტრის წრის მუშაობა უნდა გამოცოცხლდეს, კლუბში კინო უნდა მოეწყოს, რათა მნიშვნელოვანი ფილმები აქვე ვნახოთ, წინათ კლუბში პატეფონს ვისმენდით ახლა რატომღაც პატეფონი სდუმს — აი ის საკითხები, რომელსაც ფაბრიკის ხელმძღვანელობის წინაშე აყენებენ მუშები. მათი მოგვარება არც ისე ძნელია.

**შ. ჯიქია.**

## ჩვენი გამოცდილება

**ნიკ. დაუშვილი**
სტალინის სახ. ორთქლმავალ. შემკ. ქარხ. ქარხკომის მდივანი

ტფილისის ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალშემკეთებელ ქარხანაში პირველი სტახანოველები ოქტომბრის ბოლო რიცხვებში გამოჩნდნენ. მალე ერთეულებს ათეულები შეემატა და დღეს ამ ქარხანაში 600-ზე მეტი სტახანოველი იბრძვის შრომის უმაღლესი ნაყოფიერებისათვის.

ქარხნის მუშებმა, სამეურნეო და პროფესიულმა ორგანიზაციებმა მალე შეიგნეს, რომ საჭიროა ახალი, რთული ტექნიკისა და მანქანების ათვისება და შრომის სწორი ორგანიზაცია, სამუშაო ადგილის მოწყობა, სამუშაო დღის სრული დატვირთვით გამოყენება, რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარება, მუშათა სწორად განაწილება, მუშაობისათვის წინასწარი მომზადება და ძველი ტექნოლოგიური პროცესების შეცვლა. ყოველივე ამით, რა თქმა უნდა, ადვილად შევძლებდით ძველი „ტექნიკურად და ეკონომიურად დასაბუთებული“ ნორმების უკან მოტოვებას.

ბელადის მიერ დასახული საბრძოლო ამოცანა — მივაღწიოთ მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ინჟინერ-ტექნიკური მოღვაწის მუშაკთა დონემდე აწევას — მოითხოვს; მუშები ისე მცოდნენი იყვნენ, ისე იყვნენ დაუფლებული მეცნიერებათა საფუძვლებს, რომ თავისუფლად შეეძლოთ ისარგებლონ თანამედროვე ტექნიკური ლიტერატურით. ამ მიზნით ქარხკომმა უკვე მოახდინა მცირემცოდნეთა სკოლების გამოშვება და სკოლების ხელახალი დაკომპლექტება. აგრეთვე 35 სტახანოველი გაიგზავნა ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მოსამზადებელ კურსებზე. მუშათა შორის ტექნიკური უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის მოსპობა, ახალი ტექნიკის ათვისება წარმოადგენს ამჟამად ქარხნის ხელმძღვანელთა გადაუდებელ ამოცანას.

ამ მიზნით ექვსდღიურის პირველი და მესამე დღე გამოყენებულია ტექნიკური წრეების მუშაობისათვის. ტექმინიმუმის შემსწავლელ წრეებს პირველი კვარტალის განმავლობაში 1500 კაცი გაივლის. სტახანოველებისათვის ჩამოყალიბებულია მაღალი ტიპის წრეები. ამ წრეებში ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები საფუძვლიანად შეისწავლიან ტექნიკისა და მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს, ალ. **სტახანოვის, ბუსიგინის, კრივონოსის, დ. ჰიჰინაძის** და სხვათა მეთოდებს. ამჟამად ტექნიკის დაუფლების წრეებში ჩაბმულია 628 კაცი.

ქარხნის ინჟინერ ტექნიკოსთა ძალები (**ალ. ხიზანაშვილი, კაულაშვილი, გ. მამულაშვილი, ვოლქინი,** კაცი და სხვა). დიდი ხალისით კისრულობენ ტექნიკურ წრეების ხელმძღვანელობას, ქარხანას აქვს ტექნიკურ ლიტერატურით საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა და კიოსკი, სადაც შეიძლება იშოვოთ საჭირო ტექნიკური წიგნები.

ქარხკომთან არსებობს საკონსულტაციო ბიურო. ეს ბიურო სტახანოველებსა და მუშებს აძლევს რჩევა-დარიგებას, ამოწმებს სტახანოველებისაგან შემოტანილ რაციონალიზატორულ წინადადებებს და ბოლომდე იბრძვის მათი განხორციელებისათვის. მაგალითად, ამასწინათ ზეინკალმა **გ. ციცვიძემ,** რომელსაც ორიგინალი გამოგონება აქვს. გამონახა ჭანჭიკების უნაკლოდ და სრულყოფილად გაკეთების საშუალება. საამქროს ადმინისტრაციამ ამხ. ციცვიძის გამოგონება მანამდის არ გაატარა, სანამ საკონსულტაციო ბიურომ არ აიძულა ამ ღონისძიების განხორციელება. ახლა ეს გამოგონება ქარხანას ყოველდღიურად რამდენიმე ათასი მანეთის ეკონომიას აძლევს.

ქარხკომი ცდილობს დახმარება აღმოუჩინოს სტახანოველებს, 48 სტახანოველს ერთდროული დახმარების სახით მიეცა 50-150 მანეთი თვითეულს. საუკეთესო სტახანოველები დააჯილდოვეს პატეფონებით, კოსტუმებით, საათებით, ლიტერატურით და სხვა.

როცა სტახანოველ **მიხ. გიწაძის** ოჯახში მივიტანეთ პატეფონი თავისი ფირფიტებით, მთელი ოჯახი აღტაცებაში მოვიდა.

— ჩემს ქმარს რომ ასე აფასებთ ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. წინათ ვინ იფიქრებდა ამას? ყოველნაირად შევეცდები ხელი შევუწყო ჩემს ქმარს, დავეხმარო მას, არ ჩამოვრჩე საზოგადოებრივ მუშაობაში, სტახანოველობაში, — ამბობდა სიხარულისაგან აღტაცებაში მოსული გიწაძის მეუღლე.

სტახანოველთა კარგი მომსახურებისათვის ქარხკომი არაფერს იშურებს. პლეხანოვის სახელობის კლუბში ერთი ოთახი რბილი ავეჯით არის მორთული, კედლები სტახანოველთა სურათებითა და მათი მოკლე ბიოგრაფიებითაა დამშვენებული. ეს ოთახი სტახანოველებისათვისაა. დასვენების დღეებში ჩვენი სტახანოველები იქ იკრიბებიან, სხვადასხვა კულტურული თამაშებით ერთობიან, კლუბის სანახაობათა დარბაზში მთელი ერთი რიგი დათმობილი აქვს სტახანოველებს, თვითეულ სკამზე ჩვენი ქარხნის მოწინავე ადამიანთა სახელი და გვარია წარწერილი. ამგვარად სტახანოველებს, ან მათი ოჯახის წევრებს შეუძლიათ უყურონ ყველა წარმოდგენას, კინო-სურათს და კონცერტს, რაც კლუბში თითქმის ყოველდღე იმართება, შეძენილი გვაქვს მუდმივი ადგილები საოპერო, რუსთაველისა და წითელი არმიის თეატრებში და სახ. ცირკში, სადაც ყოველდღიურად დადიან ჩვენი სტახანოველები. მოეწყო კოლექტიური სვლა ლენინგრადიდან საგასტროლოდ ჩამოსულ ოპერეტის თეატრში — სპექტაკლებს დაესწრო 230 კაცი, გაიმართა 540 მუშის ექსკურსია, 724 სტახანოველისათვის პლეხანოვის სახელობის კლუბში მოეწყო ერთდღიური დასვენება. ამგვარ დასვენებას ყოველ გამოსასვლელ დღეს ვაწყობთ. ქარხანას აქვს თავისი რადიოგადაცემა. დასვენების საათებში მუშები რადიოკონცერტებს ისმენენ.

ქარხკომმა იცის, რომ სტახანოველებს საუკეთესო საექიმო მომსახურება უნდა გაეწიოს. ქარხნის პოლიკლინიკაც გაცხოველებით მუშაობს ამ დარგში. პოლიკლინიკის გამგის ექიმ **ბ. ხიხარულიძის** თაოსნობით გამოყოფილია სტახანოველთა საექიმო - სასანიტარო მომსახურების შტაბი. შტაბი ამოწმებს სტახანოველთა და მათი ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას და სამუშაო ადგილის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს. ამასწინათ შეამოწმეს სამჭედლო საამქროს მუშათა სამუშაო ადგილი, აღმოჩნდა რომ იქ, სადაც **დ. ჰიჰინაძის** ბრიგადა მუშაობდა, დაყრილი იყო უმაქნისი ხარა-ხურა, საამქროს კარები არ იხურებოდა, გამკრავი ქარი საფრთხეს უქმნიდა ბრიგადის წევრთა ჯანმრთელობას, ფანჯრის მინები გაჭუჭყიანებული იყო.

საქვაბე საამქროში, სადაც სტახანოველი **მიხ. გიწაძე** მუშაობს, კარი არ იხურებოდა, არ ჰქონდათ პირსაბანი, სპეცტანისამოსის შესანახი შკაფები უსუფთაო იყო. ასეთივე მდგომარეობა იყო ავტოგენური შედუღების, სამსხმელო და სხვა საამქროებშიაც. შტაბის ჩარევისა და დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ ქარხნის ადმინისტრაციამ ყველაფერი მოაგვარა.

პოლიკლინიკის ექიმები დადიან სტახანოველთა ოჯახებში, საუბრობენ მათი ოჯახის წევრებთან, უწევენ საექიმო დახმარებას და სხვა.

მართალია, ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტახანოველებისა და მუშების მასობრივ - კულტურულ მომსახურების მხრივ ყველაფერი რიგზე გვქონდეს. ჯერ კიდევ ბევრი დაგვრჩა გასაკეთებელი. ჩვენ ვიცით, რომ სტალინის ეპოქის საუკეთესო ადამიანებს საუკეთესო კულტურულ მომსახურებას უნდა ვუწევდეთ. მალე ჩვენი ქარხანა მთლიანად სტახანოვური უნდა გახდეს. ეს გვავალებს აქედანვე მკლავებ დაკაპიწებულებმა ვიმუშაოთ სტახანოველების გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

УСКОРЕННИ
ВАГОНОВ

სურათზე: ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის სტახანოველთა ერთი ჯგუფი მეცადინეობს ტექნიკის დაუფლების წრეში.
ფოტო რ. აკოფოვისა

## მათ სწავლებაზე არ ზრუნავენ

მუშაობის სტახანოვური მეთოდის დანერგვისა და სტახანოველთა რიცხვის გაზრდისათვის გეგუთის სოფსაბჭოს კოლმეურნეობებში — „წინსვლისა“ და „ოქტომბრის“ წევრთა შორის ენერგიული მუშაობა გაიშალა. კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრებებზე და ბრიგადებში დამუშავდა სტახანოველთა პირველი საკავშირო თათბირის შედეგები. კოლმეურნეობებში გაიზარდა სტახანოველების რიცხვი. გაიზარდა მათი შემოსავალი, გაიზარდა მათი კულტურული მოთხოვნილებები, რომლებიც დაკმაყოფილებას მოითხოვს. კოლმეურნეთა განსაკუთრებით კი სტახანოველ კოლმეურნეთა კულტმოთხოვნილების დაკმაყოფილების მხრივ ამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ვერ დაიტრაბახებენ. თუმცა, კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ წევრებს თვეში ორჯერ უჩვენებენ კინო-სურათებს, 10 კოლმეურნე სამუშაოდან მოუწყვეტლად მოზრდილთა სრულ საშუალო სკოლაში სწავლობს, წევრთა შორის დროგამოშვებით გაზეთების ხმამაღლა კითხვასაც აწყობენ, მაგრამ ყოველივე ეს ძალიან ცოტაა.

გაზეთი ყველა კოლმეურნეს არა აქვს გამოწერილი. კოლმეურნეობაში 340 წევრია და მათ შორის მხოლოდ 186 ცალი გაზეთია გავრცელებული. კოლმეურნეობაში არიან წერა-კითხვის უცოდინარები და მცირემცოდნენი, მათ შორის სტახანოველებიც, მაგრამ მათ სწავლებაზე არავინ ფიქრობს. სტახანოველი ქალი ქრისტინე გაბუნია მცირემცოდნეა, მაგრამ მას არავინ ასწავლის. კოლმეურნეობას აქვს ერთი მოუწყობელი კლუბი. ბიბლიოთეკა ძლიერ ღარიბია ლიტერატურით. არა აქვთ რადიო - მიმღები. წრეები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. საღამო - წარმოდგენები იშვიათად იმართება, უმოქმედოდ არიან დრამწრის და მომღერალთა წრის ხელმძღვანელები [illegible] და კოლია [illegible] ძალიან ცოტას აკეთებს კოლმეურნეთა შორის კულტმასობრივი მუშაობის გაშლისათვის. მაგალითად, მასწავლებელ ვალენტინა გოცირიძეს დაავალეს კედლის გაზეთის ხელმძღვანელობა, მაგრამ ის ამ დავალებას დღემდე არ ასრულებს.

კულტმასობრივი მუშაობის გაშლის მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა კოლმეურნეობა „წინსვლაში“. აქ არსებობს სამკითხველო და წითელი კუთხე, სადაც მრავალი წიგნი მოიპოვება. თვეში ორჯერ უჩვენებენ კინო-სურათებს, ხანგამოშვებით სწარმოებს გაზეთების ხმამაღლა კითხვა, თვეში ერთხელ გამოდის კედლის გაზეთი „წითელი კოლმეურნე“, რომელშიც თავსდება წერილები სტახანოვური მოძრაობის შესახებ, უჩვენებენ სტახანოველების მუშაობის გამოცდილებას და სხვა. მაგრამ სტახანოველთა კულტმომსახურებაში აქაც ბევრი ნაკლია. 400 წევრია კოლმეურნეობაში და გავრცელებულია მხოლოდ 200 ცალი რაიონული გაზეთი „სტალინელი“ და 50 ცალი გაზ. „კომუნისტი“. რადიო-მიმღების მოწყობაზე საკმაო ფული დახარჯეს, მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ აამუშავეს. კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა არ იციან რამდენი წერა-კითხვის უცოდინარი ან მცირემცოდნე ჰყავთ კოლმეურნეობაში. მათ სწავლებაზე ნაკლებ ზრუნავენ. კლუბთან ჩამოაყალიბეს წრეები, მაგრამ ისინი მეტწილად კამპანიური წესით მუშაობენ.

რაც შეეხება აგრონომებს, მათ დღემდის ძალიან ცოტა რამ აქვთ გაკეთებული სტახანოვური მეთოდის დანერგვისა და პოპულარიზაციისათვის.

**აკ. ფანკვეტაძე.**
**ვ. ლალიაშვილი.**

◆ ◆ ◆

## მუშათა კულტმომსახურება სუსტია

სტახანოვური მოძრაობის შემდგომი აღმავლობის, აზვირთების ინტერესები მოითხოვენ ყველა მუშას განსაკუთრებული მზრუნველობით მოვეპყრათ, კარგად შევასწავლოთ წერა - კითხვა, გავათვითცნობიეროთ პოლიტიკურად, დავეხმაროთ — დაეუფლოს თავისი სპეციალობის თეორიულ საფუძვლებს და ავიდეს კულტურის მწვერვალზე.

მაგრამ ზოგ ჩვენ საწარმოში მუშათა კულტმომსახურებაზე ასეთ მზრუნველობას როდი იჩენენ. მაგალითისათვის ვიღებთ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებს. იქ პროფორგანიზაცია და საწარმოს ადმინისტრაცია მცდარად გრძნობენ მუშათა გაძლიერებულ მაჯისცემას, ხედავენ, რომ შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის გმირულად დაიძრა ტყიბულის ორათასიანი მუშათა არმია, ასობით გამოჩნდნენ შრომის საუკეთესო ოსტატი-სტახანოველები — (გორგაძე, ბეშკენაძე, გაბრიაძე, ლეინიფაძე და სხვა), რომლებიც გაბედულად ანგრევენ შავი „ოქროს“ მთებს და ქვეყანას ათიათასობით ტონა ქვანახშირს აძლევენ, ხოლო ვერ ხედავენ, ვერ გრძნობენ, რომ ასეთ გმირებს შორის 500 მუშაზე მეტი წერა-კითხვის მცირემცოდნეა. ისინი მოკლებული არიან გაზეთით და ლიტერატურით სარგებლობის საშუალებას. სკოლებში მხოლოდ რამდენიმე კაცია ჩაბმული. იქ არც წერა-კითხვის მცოდნე მუშების კულტურული ზრდისათვისაა შექმნილი ჯეროვანი პირობები, პარტკაბინეტსა და წითელ კუთხეებში, მხოლოდ რამდენიმე ძველი და ისიც ინტერესს მოკლებული წიგნი აქვთ. მათ იშვიათად შეეხება მკითხველის ხელი.

ცვლის გამოსვლის მოლოდინში ასობით მუშები სხედან ხოლმე მოსაცდელ ბინებში, მათთან გაზეთის, ან მხატვრული ლიტერატურის ხმამაღალი კითხვისა და საუბრის გამართვაზე არავინ ფიქრობს.

წარმოებაში 400-მდე რუსი მუშაა. მათში კულტმუშაობა ძალიან სუსტადაა დაყენებული. რუსულ ენაზე [illegible] პოპულარულ წიგნს წითელ კუთხესა და პარტკაბინეტში იშვიათად ნახავთ.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ხელაღებით უარვყოთ მაღარკომის ზოგი მიღწევა მუშათა კულტმომსახურების საქმეში, მაგრამ ის, რაც კეთდება, უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რაც უნდა კეთდებოდეს დიდი სტახანოვური მოძრაობის აზვირთებასთან დაკავშირებით.

**ა. ალირი.**

◆ ◆

## სიტყვით ბევრი— საქმით ცოტა

სტახანოვურმა მოძრაობამ 26 კომუნარის ქარხანაშიაც ძლიერი გამოხმაურება ჰპოვა. იმთავითვე გამოჩნდნენ შრომის საუკეთესო ოსტატი —სტახანოველები **მ. აკოფოვი, ნ. გვენცაძე, შეკილაძე, მარტიროსოვი** და მალე სტახანოველთა რიცხვი 85 კაცზე მეტი გახდა.

ამან შრომისნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდასთან ერთად, მუშათა კულტურულ მოთხოვნილებათა უდიდესი ზრდა გამოიწვია. ქარხკომს სათანადო დასკვნები უნდა გაეკეთებინა და უზრუნველეყო სტახანოვურ მოძრაობაში ჩაბმულ მუშათა გამუდმებული კულტურული ზრდა. მაგრამ ამ საქმეს ძალიან ზერელედ, არაკონკრეტულად ხელმძღვანელობენ. მუშათა კულტურულ მომსახურებას საერთო საცხოვრებლებში თვითონ კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ ვიღაც კომენდანტისათვის მიუნდვიათ, რომელიც ჯერჯერობით არაფერს აკეთებს. წარმოების 600 მუშაში—200-მდე წ.-კ. უცოდინარი და მცირემცოდნეა. ქარხკომი მხოლოდ ახლა ფიქრობს გახსნას მათთვის სკოლები.

40-მდე კაცი პროფ. და ტექსწავლების გარეშეა დარჩენილი მუშათათვის პოპულარული ხასიათის ლექცია-საუბრები არ იკითხება. რამდენი ჟურნალ-გაზეთი ვრცელდება მუშათა შორის, კითხულობენ თუ არა მას მუშები, ქარხკომმა ეს არ იცის. ბევრი რამ შეიცვალა სტახანოვური მოძრაობის გაძლიერების შემდეგად, მაგრამ არ შეცვლილა ადგილკომისა და ადმინისტრაციის დამოკიდებულება მუშათა კულტურული მომსახურების საკითხთან. აქ ყველაფერი ისევ ისეა, როგორც სტახანოვური მოძრაობის დაწყებამდე იყო, ქარხკომის თავ-რე დანელიანცი ბევრს ლაპარაკობს ამ საკითხებზე, მაგრამ ჯერ ძლიერ ცოტას აკეთებს.

**ა. ბრეგვაძე**

# ტფილისის სკოლების მუშაკთა თათბირი

ტფილისის სკოლებში წელს შესამჩნევად გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი, განმტკიცდა დისციპლინაც მოსწავლეთა შორის, სახელმძღვანელოებითაც უკეთ არიან მომარაგებული, ვიდრე შარშან იყვნენ და, რაც მთავარია, ერთიორად გაიზარდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატების საშუალო დონე. ტფილისის განათლების განყოფილების ცნობებით მოსწავლეთა საერთო აკადემიური წარმატების პროცენტმა საშუალოდ მიაღწია: ლენრაიონის სკოლებში — 87,5 პროცენტს, სტალინის რაიონში —87 პროც., ორჯონიკიძის რაიონში —86,4 პროც., კიროვის რაიონში — 86 პროც. და 26 კომუნ. სახელობის რაიონში—80 პროცენტს. ეს, უთუოდ დიდ მიღწევად ჩაითვლება ჩვენს სკოლებს.

ეს ცნობები და კიდევ მრავალი სხვა ცნობა, რომელიც ადასტურებს ტფილისის სასკოლო ქსელის მუშაობის გაჯანსაღებას გამოქვეყნდა 10 მარტს, განათლების მუშაკთა სახლში სკოლების დირექტორთა, სასწავლო ნაწილის გამგეთა და განათლების განყოფილებათა საქალაქო თათბირზე. ამ თათბირმა შეაჯამა მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები და დასახა ღონისძიებები სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

სკოლების მუშაობა გაუმჯობესდა, მაგრამ ჩვენი სკოლების ხელმძღვანელების წინაშე კიდევ მრავალი ამოცანაა გადასაჭრელი იმისათვის, რომ სკოლამ ჩვენს სოციალისტურ ქვეყანას მისცეს ისეთი მომზადებული კადრები, როგორიც მას სჭირდება.

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის სკოლისა და კულტურის განყოფილების გამგემ—ამხ. ქ. **დემეტრაძემ**, რომელიც სიტყვით გამოვიდა დასახელებულ თათბირზე, დაწვრილებით განმარტა ტფილისის სკოლების ხელმძღვანელთა წინაშე მდგარი ამოცანების მნიშვნელობა.

იმისათვის, რომ მიმდინარე სასწავლო წელიწადი წარმატებით დამთავრდეს საჭიროა: 1. გაკვეთილების ცხრილის მიზანშეწონილად დამუშავება და სწავლების რეჟიმის მტკიცედ დაცვა, 2. მოსწავლეთა აკადემიური წარმატების საერთო დონის შემდგომი ზრდა, 3. მეთოდიური მუშაობის გაუმჯობესება პედაგოგებს შორის, 4. განათლების ორგანოთა ყურადღების გამახვილება სკოლებისადმი (დახმარების გაწევა, რომ სკოლებმა დროულად გამოასწორონ სწავლის ხელისშემშლელი დეფექტები, დროულად მიიღონ ფინანსიური დახმარება და სხვ.).

როგორ და რა საშუალებებით უნდა მოაწესრიგონ ეს საკითხები სკოლების დირექტორებმა? ამის შესახებ თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ ს.ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი—ამხ. მელაძე და სკოლების დირექტორები—ამხ. კვაჰანტირაძე, დუდუჩავა, ურუშაძე, მატინიანი, მჭედლიძე, სხარულიძე, იმედაშვილი, ცინცაძე, ელიზბეკიანი, განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ბარამიძე და სხვები.

**დ.**

ფოტო ბუღეშტსკისა

ა.-ქ. სავაჭრო პალატამ გახსნა საექსპორტო საქონლის გამოფენა, რომელიც წარმოდგენას იძლევა საქართველოს და ამიერ-კავკასიის დიდ სიმდიდრეზე. გამოფენა ტფილისის მშრომელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. სურათზე: საექსპორტო ბეწვეულის ნიმუშები.

◇

# ორდენოსნები გაემგზავრნენ შირვანს

თელავის რაიონის მეცხოველე ორდენოსნები ამხ. კოტე ლალაზიძე და ანდრო ბერძიკაძე 7 მარტს ზემო-ალვანიდან გაემგზავრნენ შირვანს, (აზერბეიჯანი) სადაც იმყოფება მათი კოლმეურნეობის ცხვარი.

გამგზავრების წინ თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ამხ. ლალაზიძემ განაცხადა: შირაქიდან მივიღეთ ცნობა, რომ ჩვენი ფერმის ცხვარში დაიწყო მასობრივი დოლი, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს. ზოგი ცხვარი ტყუპს იგებს. მწყემსების თავდადებული მუშაობით ნამატი მთლიანად შენარჩუნებულია და მოვლილია კარგად. ჩვენ ჩასვლისთანავე მოვაწყობთ მუშაობას ახლებურად იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მივიღეთ მეცხოველეობის მოწინავეთა საკავშირო თათბირზე მოსკოვში.

— გუშინ, — განაცხადა ორდენოსანმა —ხელი მოვაწერეთ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას, რომელიც დავდეთ სიღნაღის რაიონის არბოშიკის კოლმეურნეებთან. ხელშეკრულება ითვალისწინებს პირუტყვის, განსაკუთრებით ცხვრის სულადობის ზრდას და პროდუქტიულობის გადიდებას. ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ შეჯიბრებიდან ჩვენ გამარჯვებული გამოვალთ.

ვარწმუნებთ ჩვენს საუკეთესო მეგობარს და საყვარელ ხელმძღვანელს ამხ. ლავრენტი ბერიას, რომ შევასრულებთ იმ ვალდებულებას, რომელიც ჩვენი კოლმეურნეობის სახელით მე ვიკისრე დიდი ბელადის წინაშე, შევასრულებთ თუ შინათვის ჩვეული გზით და არ შევარცხვენთ ორდენოსან საქართველოს — დაამთავრა საუბარი ორდენოსანმა ლალაზიძემ.

**არ. კოკილაშვილი.**

# შემნახველ სალაროების წარჩინებულთა დეკადა

20 მარტიდან მთელ საბჭოთა კავშირში იწყება შემნახველი სალაროების წარჩინებულ მუშაკთა დეკადა.

დეკადის განმავლობაში შემნახველი სალაროების მუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, დაამთავრონ ობლიგაციების დარიგება სესხებზე ხელისმომწერთათვის მიაღწიონ რიგების მოსპობას და გააუმჯობესონ კლიენტურისათვის მომსახურების გაწევა.

დეკადის ბოლოს, აპრილის პირველ რიცხვებში მოხდება შემნახველი სალაროების წარჩინებულთა მუშაობის შედეგების შეჯამება.

# კომკავშირული ხეივანის კეთილმოწყობა

წელს გადაწყვეტილია მთელი რიგი ახალი სამუშაოების შესრულება კომკავშირული ხეივანის კეთილმოსაწყობად: გაამწვანებენ ხეივნის მიდამოებს, მოაწყობენ სამზერ მოედნებს და სხ.

გარდა ამისა წელს გადაწყვეტილია საცალფეხო გზის გაყვანა კომკავშირული ხეივნიდან ნარიყალამდე. ამ გზის გაყვანით გაადვილებული იქნება ყველასათვის ამ ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლის დათვალიერება.

საცალფეხო გზის გასაყვანად, რაც მიმდინარე წლის განმავლობაშივე უნდა დამთავრდეს, გათვალისწინებულია 134.000 მანეთის დახარჯვა.

□

# მწყემსის წერილი
## საზამთრო საძოვრებიდან

სტალინირი, სამხრეთ-ოსეთის მეცხვარეობის წარჩინებული მწყემსის გიორგი კუზილოვის ცოლმა (კოლმეურნეობა „კოლექტივის დღე“, ლენინ-გორის რაიონი), ქმრისგან მიიღო წერილი საზამთრო საძოვრებიდან. წერილში ამხ. კუზილოვი სწერს:

„მე აქ სალამობით დავდივარ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში. უკვე შევისწავლე კითხვა. გარდა ამისა, დავამთავრე საზამთრო საძოვრებზე ორგანიზებული მწყემსთა ორთვიანი კურსები. ამინდი კარგია. ცხვრებმა კარგად მოიმატეს წონაში, მთელი ზამთრის განმავლობაში არ იყო ცხვრის სიკვდილის არცერთი შემთხვევა, ყველა ბატკანი ჯანსაღია. უკვე დაიწყო დოლი. მწყემსები ვეჯიბრებით ერთმანეთს სტახანოვური მეთოდით მუშაობის უკეთ ათვისებაში. მე ვეჯიბრები მწყემს მიქელაძეს, ხოლო მთელი ჩვენი ფარა ვეჯიბრება ძიმარის კოლმეურნეობის ფარას“.

საპასუხო წერილში ცოლი, ატყობინებს რა კოლმეურნეობის ახალ ამბებს, სწერს კუზილოვს:

„ჩვენ ყველანი ჯანმრთელად ვართ. სახლის მშენებლობა მთავრდება. ჩადია (ქალიშვილი) დელეგატად იყო სტალინირში კომკავშირის საოლქო კონფერენციაზე. ბავშვები კარგად სწავლობენ. სიმონი ფრიადოსანია. ამინდი აქაც კარგია. ამ დღეებში ჩვენი კოლმეურნეობა გადის საგაზაფხულო თესვაზე. ვიმედოვნებ, რომ სოცშეჯიბრებაში შენ გაიმარჯვებ, ხოლო ჩვენ აქ შევეჯიბრებით ერთმანეთს საგაზაფხულო სამუშაოებში“. (ოდს).

# ტფილისის ცირკის იუბილე

ტფილისის სახელმწიფო ცირკს უსრულდება ხუთი წელი. ამ ხნის განმავლობაში მან დიდი მუშაობა შეასრულა, უზრუნველჰყო პროგრამის მაღალი მხატვრული ხარისხი, შეფობა აიღო წითელ არმიაზე, სადაც დიდი კულტურული საქმიანობა გააჩაღა, გააუმჯობესა მსახიობთა საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ტფილისის გარნიზონის ნაწილების საუკეთესო მომსახურებისათვის ცირკს მიღებული აქვს ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის გარდამავალი დროშა, რომელიც სამი წელიწადია მტკიცედ უჭირავს ხელში.

რ. ხ. გამსახურდია

ტფილისის სახელმწიფო ცირკის ორგანიზაციის დღიდან მის სათავეში დგას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **რომან გამსახურდია**, რომლის ხელმძღვანელობითაც ცირკმა მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია და ტფილისის მაყურებლის მხურვალე სიმპატიები დაიმსახურა.

13 მარტს სახელმწიფო ცირკი დღესასწაულობს თავისი არსებობის 5 წლისთავს. გაიმართება დიდი საცირკო წარმოდგენა განსაკუთრებული პროგრამით და საზეიმო სხდომა. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ესტრადის მსახიობები **გ. ხელაძე** და **ს. ჯაფარიძე**.

# სესხის მქონეთა და მეანაბარეთა დღე

15 მარტიდან მთელს რესპუბლიკაში იწყება სესხის ობლიგაციების მქონეთა და მეანაბარეთა დღის ჩატარება, რაც ერთ თვეზე მეტს გაგრძელდება. სესხის მქონეთა და მეანაბარეთა დღეებში შემნახველმა სალაროებმა უნდა გაუსწორონ ანგარიშები სესხზე ხელისმომწერლებს, დაამთავრონ თანხების აკრება საკოლმეურნეო სექტორის ხაზით დაარიგონ წინათ გამოშვებული სახელმწიფო სესხების ობლიგაციები და სხ.

გარდა ამისა შემნახველ სალაროებს დავალებული აქვთ მოახდინონ მოგებათა მასობრივად შემოწმება საწარმოებში, დაწესებულებებში, სოფლებსა და კოლმეურნეობებში, გასცენ თანხები ობლიგაციების პროცენტების დასაფარავად და შეამოწმონ სოფლის საბჭოების მუშაობა სახელმწიფო სესხების გავრცელების დარგში.

□

# 2.760.000 მანეთი
## ახალი პარკებისა და სკვერების გასაშენებლად

წელს ტფილისში იწყება მუშაობა მთელი რიგი ახალი პარკებისა და სკვერების გასაშენებლად. გარდა იმისა, რომ ფუნიკულორზე იწყება კულტურისა და დასვენების ახალი პარკის გაშენება, წელსვე შეუდგებიან აგრეთვე ახალი პარკის გაშენებას ყოფ. ხოჯევანქის სასაფლაოს ტერიტორიაზე. მეორე პარკი შენდება ლენრაიონში, მესამე — საბაზრო მოედანზე და სხ.

გარდა ამისა 100.000 მანეთია გადადებული ფუნიკულორის კალთების გასამწვანებლად და 90.000 მანეთი კომკავშირული ხეივნის მიდამოების გასამწვანებლად.

სულ მიმდინარე წელს ახალი პარკებისა და სკვერების გასაშენებელ სამუშაოთა შესასრულებლად გადადებულია 2.760.000 მანეთი.

აფხაზეთს მთელი რიგი საუცხოვო კურორტები მოეპოვება. უკანასკნელ წლებში ამ კურორტებზე: სოხუმში, გაგრაში, ფსირცხაში (ყოფ. ახალი ათონი), გუდაუთს, გულრიფშსა, ოჩემჩირეში და სხვ. გაშლილია ახალი სანატორიუმების, სასტუმროების, დასასვენებელი სახლების ბტეს-ის ბაზების მშენებლობა. სურათზე: გაგრის სანატორიუმის ტიპის ახალი სასტუმრო „გაგრა“. ფოტო სოიუზფოტოსი

ფოტო ბუღეშტსკისა

ნიჭიერ ბავშვთა კონკურსი. 18 იანვარს ტფ. სახ. კონსერვატორიაში გაიმართა ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფის პირველი კონცერტი. სურათზე: კონცერტის მონაწილე 11 წლის ოთარ პაპიტაშვილი.

◇

# ჭადრაკი
## პირველი კატეგორიის მოჭადრაკეთა რესპუბლიკური ტურნირი
### მეცამეტე ტური

მეცამეტე ტურის ყველა პარტიაში შეუპოვარ ბრძოლა ახასიათებდა. დღეს არავინ თამაშობს თავშეკავებულად. თითოეული ცდილობს გაართულოს მდგომარეობა და პარტია მოიგოს. ყაიმი უკვე აღარავის აკმაყოფილებს.

ყველაზე ადრე თავდება **მალუნცევ — კორკოტაძის** პარტია. უკანასკნელმა დებიუტში მოიგო პაიკა და მთელი თამაშის გეგმა ამ პაიკის შენარჩუნებაზე ააგო, რაც მართებული არ გამოდგა, მალუნცევმა სამაგიეროდ ფიგურათა ბევრად აქტიური განლაგება მიიღო და ხარისხის და შემდეგ მხედრის შეწირვით მოწინააღმდეგე დაამარცხა.

საინტერესო იყო **ფალავანდიშვილი — სოროკინის** პარტია. უკანასკნელს ეს პარტია რომ მოეგო ამით პირველ ადგილს საბოლოოდ გაინაღდებდა, თამაში დებიუტშივე მის სასარგებლოდ არ ვითარდებოდა, ფალავანდიშვილმა ბევრად აქტიური მდგომარეობა მიიღო და სასტიკი იერიშის შესაძლებლობა მიეცა. ხანგრძლივი მოგერიების შემდეგ სოროკინი მიდის პაიკის შეწირვაზე, რითაც კონტრიერიშის განვითარების შესაძლებლობას ღებულობს. მწვავე თამაშის შემდეგ პარტია ყაიმით დასრულდა.

**გამხარაშვილმა** მოიგო ადამიანის. **მირზოევ—ებრალიძის** პარტია გადაიდო უკანასკნელისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. წაგებული მდგომარეობა აქვს აგრეთვე **წერეთელს** გადადებულ პარტიაში **ბორისენკოსთან**. **სერედა—ვეიზერის** პარტია გადაიდო ვეიზერისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. **არუთინოვ—აბრამიანის** პარტია გადაიდო უკანასკნელისათვის რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაში. **ფირცხალავა— მიშიკოვის** პარტია გადადებულია რთულ და გაურკვეველ მდგომარეობაში. **აბრამიანი—სერედას** გადადებული პარტია პირველის გამარჯვებით დასრულდა.

მეცამეტე ტურის შემდეგ წინ არიან: **სოროკინი** +9½, **ვეიზერი** და **ფირცხალავა** +8 (1 გად.), **ებრალიძე** +7½ (1 გად.).

დღეს, 12 მარტს მოხდება გადადებულ პარტიების დამთავრება.

# ლენინგრადი-ტფილისი-ლენინგრადი

[illegible] ხუთი ტფილისში [illegible] მონაწილენი — საბჭოთა ვაჭრობის (დახლის მუშაკები) ლენინგრადელი სტახანოველები: ამხ. **დობიჩინი**, **კარპინსკი**, **სეროდეევი**, **სიზოვი**, და **კუდრიავცევი**.

მათ უკვე ფეხით 4 ათას კილომეტრამდე გაიარეს და ამდენივე უნდა გაიარონ ტფილისიდან ლენინგრადში უკან დაბრუნებისათვის. 12 ივნისს საერთო საქალაქო ფიზკულტურის დღესასწაულის დღეს ისინი უკვე ლენინგრადში უნდა იყვნენ.

9 მარტს საქ. სამხედრო გზით საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ გმირული გადასვლის მონაწილენი. მათ შესახვედრად ლარსში გაემგზავრნენ გადასვლის ხელშემწყობი კომისიის წევრები (ხუბუნაიშვილი, კალანდაძე, მესხი, კარაპეტიანი, ფიზკულტურელები და დახლის სტახანოველები) ყაზბეგის რაიონის საბჭოთა ვაჭრობის მუშაკებსა და კოლმეურნეებთან ერთად გაიმართა შეხვედრა. კომისიის სახელით მოლაშქრეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ამხ. **მ. ხუბუნაიშვილმა**. გადასვლის მონაწილეებისგან საპასუხო სიტყვით გამოვიდნენ ამხ. **დობიჩინი და სიზოვი**.

პატარა შესვენების შემდეგ ლენინგრადელებმა განაგრძეს გზა სოფ. კობის მიმართულებით. იქ ღამის გათევის შემდეგ ისინი ტფილისისაკენ გამოემგზავრნენ.

ტფილისში ჩამოსვლამდე ლენინგრადელ სტახანოველებს შეხვდებიან საბჭოთა ვაჭრობის მუშაკები და კოლმეურნეები, რომელთა შორისაც მოხდება ურთიერთგამოცდილებათა და შთაბეჭდილებების გაზიარება (კობი, დუშეთი და მცხეთა).

13 მარტს გადასვლის მონაწილენი ტფილისში იქნებიან.

◇

# ქრონიკა

— **ქალაქის კომენდანტისაგან.** 13 მარტს, დილის 8 საათზე მლაშე ტბის რაიონში იწარმოებს საარტილერიო სროლა, ხოლო 14 მარტიდან 1 აპრილამდე ყოველდღე ვაზიანის ჩრდილო-ნაწილში საარტილერიო პოლიგონზე იწარმოებს საარტილერიო სროლა. ამის გამო მოსახლეობას აკრძალული აქვს პოლიგონის ტერიტორიაზე გავლა.

— **მწერალთა სახლში** 13 მარტს, საღამოს 7 საათზე გაიმართება ამხ. ვ. გაფრინდაშვილის მოხსენება თემაზე: „მხატვრული თარგმანის პრობლემა და მთარგმნელთა საკავშირო თათბირის შედეგები“. მოწვეული არიან მთარგმნელთა სექციის წევრები და მწერლები.

◇

# შემთხვევები

**# ქურდი-რეციდივისტის შეპყრობა.** მილიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა 9 მარტს ჩელუსკინელთა მოედანზე ტრამვაის გაჩერებასთან შეიპყრეს ცნობილი ქურდი-რეციდივისტი ვ. ი. ჩალაძე. მას აღმოაჩნდა სხვადასხვა საოჯახო ნივთები დიდი რაოდენობით. დაკითხვისას ჩალაძემ განაცხადა, რომ ხსენებული ნივთები მიპარულია. იმავე დღეს მილიციის მე-10 განყოფილებაში მოქ. ნ. ა. კოხპანიძემ (გამაშვილის შეს. 7) შეიტანა განცხადება იმის შესახებ, რომ კლიტის გატეხვის საშუალებით გაქურდეს მისი ბინა, საიდანაც წაიღეს ძვირფასი საოჯახო ნივთები. როგორც გამოირკვა, კოხპანიძის ბინა გაქურდა ჩალაძემ. ნაქურდალი ნივთები ჩალაძეს ჩამოართვეს და დაუბრუნეს დაზარალებულს. ჩალაძე საქმე სასამართლოს გადაეცა.

**# უბედური შემთხვევა.** ა.-კ. ფედერაციის მოედანზე მოქ. ნ. მ. კასლოევა (ვალიდუბენის ქ. 17) შეეცადა მიმავალ ვაგონზე შეხტომას (მარშრუტი № 5), ჩავარდა ძრავიან ვაგონქვეშ და ბორბლებმა მას ფეხი მოაჭრეს.

**# ხულიგნები.** ქუჩაში ჩხუბისა და მილიციისადმი დაუმორჩილებლობის გამო შეიპყრეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ნ. ა. რაპარტიანი და ნ. ვ. პასმენნი.

---

რუსთაველის თეატრი 1935–36 წ. სეზონი

12 მარტს აბონ. გარეშე — შემოდგომის აზნაურები

14 მარტს 15 აბ. 5 წარმ. — ს ა ლ ტ ე

სალარო ღიაა 11-2 და 6-9 საათამდე. დასაწყისი 7-ნახ. საათზე.

---

მარჯანიშვილის თეატრი

12 მარტს წარმოდგ. № 109 — ჩატეხილი ხიდი

14 მარტს წარმოდგ. № 110 — პრემიერა რაც გინახავს ვეღარ ნახავ

ბილეთები თეატრის სალაროში 11—2 6—9 ს.

ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან. დასაწყისი 7 ს. 30 წ.

---

საქკინმრეწვის თეატრები

| | |
|---|---|
| ოქტომბერი 6-30, 8, 9-30, 11 | ახალი ხმოვანი ფილმი „დ ო ბ ი ლ ე ბ ი“ |
| დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30 | ახალი ეკზემპლარი ხმოვანი კომედია „მხიარული ახალგაზრდობა“ |
| რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-30, 11 | ხმოვანი ამერიკ. ფილმი „უხილავი ადამიანი“ დღისით „უკანასკნელი ჯვაროსნები“ |
| „26“-ის კომუნ. სახ. 6-30, 8-30, 10-30 | ხ მ ო ვ ა ნ ი ფ ი ლ მ ი „პ ე პ ო“ |
| ქრონიკის თეატრი ახალი ამბები | ხმოვ. ჟურნალები № 4, № 5 „საბჭოთა ხელოვნება“ (პლატონ კრეჩეტი) |

---

ხელოვნების ოსტატთა კლუბში, 13 და 14 მარტს

შოსტაკოვიჩის ოპ. „მცენსკის მაზრის ლედი მაკბეტის“ შესახებ გაზ. „პრავდაში“ მუსიკალური ფრონტის მდგომარეობაზე დაბეჭდილ წერილებთან დაკავშირებით გაიმართება

კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითი

კ რ ე ბ ა

დღის წესრიგი: 1. საქკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ამხ. ი. გორდელაძის შესავალი სიტყვა. 2. მოხსენება ხელოვნების დამსახ. მოღვაწე ამხ ი. ტუსკიასი.

კამათში მონაწილეობენ: ამხ. დ. არაყიშვილი (რესპ. სახ. არტისტი), ა. დუდუჩავა, შ. მშველიძე, გ. ბოკუჩავა, ა. კულიჯანოვი, ა. ჭყონია და სხვ.

კრებაზე მოწვეული არიან: მწერალთა კავშირის წევრები, მხატვრები, თეატრების და კინემატოგრაფიის მუშაკები და სხვ.

13303 დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

---

ს. ს. ს. რ. ჯანსახკომის

კურ. მთავ. სამმართველოს მიხა ცხაკაიას სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის საკვლევო სამეცნიერო სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტი. ლენინის ქ., № 49. ტელ. 3-18-00.

ავადმყოფების მიღება ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა, დილით 9—2 საათამდე.

შინაგანი სნეულებანი, ქალთა სნეულებანი, ნერვული სნეულებანი საღამოს 5 საათიდან—9 საათამდე.

| | | |
|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | ქალთა სნეულებანი | თვალის სნეულებანი. |
| ნერვული სნეულებანი. | ბავშვთა სნეულებანი | ყურ-ყელ-ცხვირის სნ. |
| ქირურგიული სნეულებანი. | კანისა და ვენერ. სნეულებანი. | პირის ღრუს და კბილების დაავადება. |

კონსულტაცია ყველა სპეციალობაში, მკურნალობა როგორც ამბულატორიულად, ისე სტაციონარულად ყველა სახის ფიზიკური მეთოდებით:

| | | |
|---|---|---|
| ელექტროთერაპია. | რენტგენოთერაპია. | ტალახით მკურნალობა. |
| დიათერმია. | მექანოთერაპია | ინჰალაცია. |
| სინათლის მკურნალობა. | წყლით მკურნალობა. | სამკურნალო ფიზკულტურა. |
| რენტგენოდიაგნოსტიკა. | ნახშირმჟავა აბაზანები. | |

ფიზიოთერაპიული პროცედურების კაბინეტები მუშაობენ დილით 9—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე.

მიიღებიან აგრეთვე ფასიანი ავადმყოფები.

კონსულტანტები: პროფესორები ალადაშვილი, კონიაშვილი, მიქელაძე, ღამბაშვილი, მუზაძე, დოცენტები ჯავახიშვილი, ტყემალაძე, მიქელაძე, ექიმები: პოპოვი, იარალოვი. 70 6-3

---

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

14, 15 და 16 მარტს

წარმოდგენა №№ 110, 111, 112

ა. ცაგარელი პრემიერა

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ

კომედია 4 მოქმ. გადმოკეთებული გ. ჟურულის და გ. ბუხნიკაშვილის მიერ.

დამდგმელი რეჟისორი გ ი ო რ გ ი ჟ უ რ უ ლ ი.

კონსტრ. ინჟინრები რ. აკოფოვი და ვ. გედალინი.

მხატვარი ს. ვირსალაძე.

კომპოზიტორი კ. მეღვინეთ-უხუცესი.

ქორეოგრაფი ჯ. ბაგრატიონი.

დასაწყისი საღამოს 7 ს. და 30 წ.

სალარო ღიაა 11—2 ს., 6—9 ს.

კონტრამარკები და ყოველგვარი უფასო შესასვლელი ბილეთი გ ა უ ქ მ ე ბ უ ლ ი ა. 79

---

„სოიუზზაგოტკოჟის“

საქართველოს კანტორა

ამით აცხადებს ტყავნედლეულის ყველა ჩამბარებლის საყურადღებოდ (კოოპერაცია, სახელმწიფო ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ერთპიროვნული გლეხები და კოლმეურნეობათა წევრები), რომ ჩაბარებულ ტყავნედლეულზე გაცემული ქვითრები ა-წ. 1-ლ აპრილამდე უნდა იქნეს წარდგენილი სათანადო დამამზადებელ კანტორებში სამრეწველო საქონლის მისაღებად და ანგარიშის გასასწორებლად.

1-ლ აპრილის შემდეგ არც ერთი ძველი ქვითარი არ იქნება მიღებული გასანაღდებლად და არავითარი პრეტენზია არ იქნება მიღებული მხედველობაში.

2-1 123 „სოიუზზაგოტკოჟის საქართვ. კანტორა.

---

იყიდება დასანგრევად

5 საცხოვრებელი სახლი

7500 კუბ. მეტრი—1400 ათასი აგური, 5 ტონა სახურავი, 150 კუბ. მეტრი ხეტყის მასალა, 150 ფანჯარა და კარი.

პირობების შესახებ მიაკითხეთ შემდეგი მისამართით—ქორესის ქუჩა № 5 „წიგნის სასახლის“ მშენებლობა, ტელ. 3-37-85. 50

---

დამწუხრებული მეუღლე პარმენ, ძმები: კალისტრატე, მიშა; დები: ანასტასია, ლუბა ლექვინაძეები იუწყებიან უძვირფასესი **ელენე მარკოზის-ასულ ლექვინაძე-სტურუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში, 15 მარტს, სტალინის პირველი შესახვევი. 13284

ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ბაქტერიოლოგიური ცყ[illegible] ექიმები: ჭობრულია, ძიგუა, ბარამიძე, ღვალაძე, ალექსიძე, მათიაშვილი, კვაჭაძე, კარტოზია, გორგაძე, თევზაძე, [illegible] შილაკაძე, ყურაშვილი ღრმად მწუხარებას გამოსთქვამენ **დოც. ალექსანდრე ჯიჯაძის** გარდაცვალების გამო. 30

მედინსტიტუტის პროპედ. ქირურგიული კლინიკის (პროფ. ა. ი. ერისთავის ხელმძღვანელობით) ექიმები მწუხარებით იუწყებიან ამავე ინსტიტუტის **დოცენტი ალექსანდრე ჯიჯაძის** უდროოდ გარდაცვალებას. 13269.

ღრმად დამწუხრებული შვილი გიგუცა დიდებულიძე, რძალი ელენე, შვილიშვილები თეიმურაზ, ჯანიკო იუწყებიან ძვირფასი **ელისაბედ ყარამანის-ასულ დიდებულიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 მარტს, 5 ს. პანაშვიდი 7 ს. 13283.

მშობლები: ბაბილინა, ვასილ, ბებია დუდუ, ძაი ელენე, ძმები: ვალიკო ცოლ-შვილით, კოლია, ალიოშა სხვიტარიძეები, კაპიტონ ბოლქვაძე ცოლ-შვილით იუწყებიან **ნინოს იობაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, კუკიის სასაფლაოზე კლარა ცეტკინის, 101 13274.

ტფილისის ქალაქის რ.კ. გზის ტრესტის დირექცია იუწყება ამხ. პ. შულაიას დედის **დომნა შულაიას** გარდაცვალებას. 13228.

დამწუხრებული მშობლები: ნატალია და გიორგი, ბებია ნინო, ბიძა ილუ[illegible] ჯავშანაშვილები იუწყებიან მათი საყვარელი **ა ნ ზ ო რ ი ს** უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი და გამოსვენება 1-ლ საავადმყოფოდან 13 მარტს დღის 4 საათზე.

მეუღლე მაკრინე, შვილები: მერი შალვა ნინო, გერვასი, მიშა, ლელიკო, ბიჭინა, ქეთია, სიძეები: კლიმენტი გრიგოლია, გრიშა ხაფავა, გიორგი კალოიანი, შალვა გარდაფხაძე, რძლები: ნადია, ირინა, თამარ, დაფროთი იუწყებიან **აბიათარ იაკობაშვილის** გარდაცვალებას.

საქთამბაქნედლეულის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კანტორის თანამშრომლები იუწყებიან საქთამბაქნედლეულის მმართველის ერმილე დამენიას მამის **კონსტანტინე დამენიას** გარდაცვალებას 13230

ჯანსახკომის ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის სამკუთხედი გამოსთქვამს თანაგრძნობას დირექტ. მოადგილის ექ. შ. იაკობაშვილის მამის **აბიათარ ანდრიას-ძე იაკობაშვილის** გარდაცვალების გამო. 13226

დამწუხრებულნი: მეუღლე ელენე, შვილები: გრიშა, მარიამი, ანეტა, სიძე ვანო წიტიშვილი იუწყებს საზოგადოებას **ირაკლი ბაგრატის-ძე ჯაველიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა მახარაძის რაიონში სოფ. ასკანაში. 13270.

დიმიტრი, მაზლიშვილი პასიკო, სიძე არკადი ზამთარაძე იუწყებიან **დარია გიორგის-ასულ ნატროშვილი სვანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 6 ს. ჭავჭავაძის, 20. გამოსვენება 12 მარტს 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 13259.

ჯანსახკომის სამკურნალო პროფილაქტიკური სამმართველოს თანამშრომლები: სოსიანი, კურკუმელი, ჯორბენაძე, მშვიდობაძე, დალიანი, მეტრეველი, სურგულაძე, ზარიძელი, გიორგაძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი მეგობრის **დოცენტი ალექსანდრე ჯიჯაძის** უდროოდ გარდაცვალების გამო. 13265.

ტფილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება ძველი ბოლშევიკის და პარტკომის წევრის **დოცენტი ალექსანდრე ნესტორის-ძე ჯიჯაძის** უდროოდ გარდაცვალებას. 13231.

ჯანსახკომის და კურორტთა მთავარსამმართველოს გაერთიანებული ადგილკომი გულითადი მწუხარებით იუწყება ყველასათვის საყვარელი ამხანაგის და ხელმძღვანელის, ჯანმრთელობის ფრონტზე მებრძოლი ენტუზიასტის, დოცენტი **ალექსანდრე ნესტორის-ძე ჯიჯაძის** გარდაცვალებას. 13256

დამწუხრებულნი მშობლები: მარო, კროლი, ბებია ეფიმე, ძმები: სოსო და გრიშა იუწყებიან უსაყვარლესი **ნუცა ბალანჩივაძის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქალაქ სამტრედიაში, 15 მარტს 5 ს. 13275

მეუღლე მარო [illegible], მშობლები: საბა, მაკა, ძმა შალიკო ბურდიაშვილები, სიდედრი ნინო ქიზაშვილისა დაისტირით საყვარელ **აგრონომ ვანო ბურდიაშვილს** სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 ს. ეგოროვის, 10 13276.

ახლობელი ამხანაგები: ფინანსური, სტატისტიკური და კომერციული სექტორების თანამშრომლები იუწყებიან ალექსანდრე სვიმონის-ძის ვაჩნაძის დედის **მარიამ ალექსანდრეს-ასული ვაჩნაძის** გარდაცვალებას. 13302.

დამწუხრებული მეუღლე ვანო შვილ ვალოდიათი, მშობლებით: ივლიანე, ივლიტათი, ცოლისდა პოლიათი იუწყებიან **ტასია დარახველიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, 7—1/2 ს. სამრეკლოს, 21 დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე, 13 მარტს ოთხზე 13289.

დამწუხრებულნი მშობლები: ალიოშა, თამარ ჩადუნელი, პაპა გიორგი, ბებია სოფიო, მამიდები: ზინა და მარო, ბიძები: დათიკო სიხარულიძე, დომნა ჩადუნელი იუწყებიან დაუვიწყარი **პატარა იზოს (იზოლდას)** უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა სურამში. 13301

უახლოესი მეგობრები: მამალაძე, ლუგავა, გელაშვილი, ცომაია, ქორიაშვილი, ი. კვიციანიძე, ჯიბუტი, მ. ბუაჩიძე, გ. მეავანაძე, ხმალაძე და დიდებულიძე იუწყებენ ძვირფასი ამხანაგის **ალექსანდრე ნესტორის-ძე ჯიჯაძის** გარდაცვალებას. 13243.

ნინო და ისიდორე გვეწაძეები შვილებით თამარ და გიორგი გიორგობიანები იუწყებიან, რომ 8 მარტს ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა **ალექსანდრე ნესტორის-ძე ჯიჯაძე** 13293.

ტფილისის აგრობიოსადგურის მუშამოსამსახურენი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სადგურის პარტორგს ამხ. შალვა ჯაფარიძეს სიდედრის **ხოფრო იაკობის-ასული მელაშვილის** გარდაცვალების გამო. 13282.

უახლოესი ამხანაგები და მეგობრები საქ. მიწსახკომში იზიარებენ ამხ. ლადო სვიმონიშვილის მწუხარებას მისი მამის **კონსტანტინე აფაროსის-ძე სვიმონიშვილის** გარდაცვალების გამო. 13292.

შვილები: სანდრო და დათიკო, რძლები: მარო და თამარ შვილიშვილებით—მზია და ნელი ვაჩნაძეები იუწყებიან **მარიამ ალექსანდრეს-ასულ ვაჩნაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება დღის, 4 ს. ყაზბეგის, 8 13273.

მედინსტიტუტის პედიატრ. ფაკ. მეოთხე კურსის სტუდენტობა განუსაზღვრელ მწუხარებას გამოთქვამთ ძველი ბოლშევიკის და საუკეთესო აღმზრდელ მასწავლებლის, სოც. ჰიგიენის კათედრის გამგის **დოც. ალექსანდრე ჯიჯაძის** უდროოდ გარდაცვალების გამო. 13241

მეუღლე ნატა, შვილები: აკაკი, დავით, ნინო, რძალი ვარვარა, შვილიშვილები: ლევან, ლულუ, თინა მიქაბერიძეები იუწყებიან საყვარელი **სიმონ ბესარიონის-ძე მიქაბერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. შროშაში, 15 მარტს კვირას. 13300.

დამწუხრებული ცოლი კატო, შვილები: კოლია და სონია, რძალი თამარ მეგრელიშვილი ვაუწყებთ ნაცნობ-ნათესავებს, რომ გარდაიცვალა **ნიკო ბეჟანის-ძე გოთუა** დაკრძალვა ზვარეთში, 12 მარტს (ოზურგეთი) 13288.

სახმედინსტიტუტის ინფექციური სნეულებათა კლინიკა მწუხარებით იუწყება ამავე კლინიკის ორდინატორის **რუბენ კონსტანტინეს-ძე არაქელოვის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. დაკრძალვა 14 მარტს 4 ს. რეზინგერის, 7. 13304.

გაზ. „კომუნისტის“ და ცხაკაიის რაიონული გაზ. „მთლიანი კოლექტივიზაციის“ რედაქციები მუშკორებთან ერთად მწუხარებით, იუწყებიან მათი აქტიური კორესპონდენტის ამხ. **ანტონ თეიმურაზის-ძე შელეგიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 მარტს, სოფ. ნოქალაქევში (ცხაკაიის რაიონი).

მშობლები—მამა, თეიმურაზ; დები—ცუცა, ნატაშა, ძმები: აკაკი, კაპიტონ და ვლადიმერ იუწყებენ ნაცნობ—მეგობრებს **ანტონ შელეგიას** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 მარტს ს. ნოქალაქევში (ცხაკაიის რაიონი).

უახლოესი მეგობრები: ნინო ზარიძე, როზან ჭიჭინაშვილი, რუსიკო წერეთელი, ვერა სლაინოვა, ალექსანდრე ჯამასპაშვილი მწუხარებით იუწყებიან ნინოს ბებიის **მარიამ მეძღვრიშვილის** გარდაცვალებას გამოსვენება 12-ს, 4 ს. ფიგნერის, 6. 13286

ცოლი მარიამ, შვილი ნიკოლოზ ჩხეიძეები იუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს ძვირფასი **იოსებ (ჟუჟული) ივანეს-ძე ჩხეიძის** გარდაცვალებას, პანაშვიდი დღეს, 6 ს. გამოსვენება 13 მარტს 5 ს. საბჭოთა, 96. 13281

დამწუხრებული მშობლები: ელისაბედ, სამსონ, ძმები: მიშა, ნიკო, და ქეთევან ქელიეშიძეები იუწყებიან მათი უსაყვარლესი **თამარ სამსონის-ასული ქელიეშიძე-კლდიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 4 ს. ს. საგარეჯოში. 13290

სტამბა „კომუნისტი“. კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ 8538